

1907



# მეცემსი

მწყემსან კეთილმან სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართთვის  
იოან. 10—11

№ 14-15-16

1883—1907 წ.

30 აგვისტო

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო ბანაოფილება:** რედაქციისაგან.—ქრისტიანობა და ზოციალიზმი.—გერმანიის კოლონიალური პოლიტიკა და სპარსეთი, დ. დ.—ნეპოლიდან მიუნხენამდე, მგზავრის.—პარტიის ცხოვრებლან.—მიმართვა (ლექსი), ინოვრე მწირის.—გურნალ-გაზთიდან.—ზოლერა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ. **საჯალა და მისენიკაბა ქრისტიანობაგის სარწმუნოებასა და კითხვ-წამოებასა:** მეშვიდე მცნება, ი. ბალევის.—ჩვენი ხალხის ქრისტიანობრივი სარწმუნოება წინეთ და დღეს, მღ. დომენტი რამინიშვილის.—განცხადება.

**რედაქციისაგან.** რედაქცია მისგან დამოუკიდებელ მიწეწათა გამო იძულებული იყო ეს შეგნობული ნამუშაო გამოეცა.

ჩვენი მივიღეთ ამ დღეებში შესანიშნავი პროფესორის ანატოლი ლერუა ბოლიეს წიგნიდან ნა. თარგმნი დ. ნ. ყ—შვილის ამ სათაურით: „ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი“, გამოცემული ვანოსაგან. წიგნი ღირს 15 კაპ. და შესდგება 52 გვერდისაგან. ფასი თუმცა დიდი არ არის, მაგრამ ამისთანა შინაარსის წიგნები უფრო იაფ ფასიანი უნდა იყოს. რომ ხალხში მტე ვავრცელდეს. წარმოიდგინეთ, ქუთაისის სამღვდლოებაში ერთი არაიენ აღმოჩენილა სამღვდლოთაგანი, რომ ამ წიგნის გამოცემა ეკისრა!.. ნუ თუ მთელი ქალაქის სამღვდლოება ვალდებული არ იყო ეს წიგნაკი დაეგეჭა თავის ხარჯით 5, 6 ათასი ცალი და გავრცელებია ხალხში. მაგრამ ამას ვინ მოითხოვს მათგან! ისიც დიდი იქნება თუ ეკლესიებს გამოაწერინეს ეს მშვენიერი წიგნაკი და სამღვდლოებამ წაუკითხა შეკრებელი საწყსოთა და გააცნო ამ წიგნის შინაარსი მათ!.. ყოველი მღვდელი ვალდებულია მთლად წაიკითხოს ეს წიგნაკი პირველად თვითონ და შემდეგ თავის სამრევლოს წაუკითხოს იგი. ამის ასრულება სასულიერო მთავრობამ ხმა მალლა უნდა მოითხოვოს სამღვდლოებისაგან...

### ქრისტიანობა და სოციალიზმი.

გახშირეს ქაღალცა ჩვენმა სოციალისტებმა წინააღმდეგ სარწმუნოებისა, ქრისტიანული ზნეობისა და წინააღმდეგ თვით ქვეყნის გაჩენის—ღვთისა. არა ზოგვენ ფულს მვენე შინაარსის წაგნაკების გამოსაცემლად, რომ აღმოგვგრან აკის გულიდან ყოველივე რელიგიური გრძობა და დაუმტკიცონ ხალხს, რომ სასუფეველი და სამოთხე ქვეყანაზე და არა ცათაშინა. დღდათ ისარგებლეს ამ ბატონებმა ხალხის დაზნელებული გონებით, სამღვდლოების უტადინარობით და დაუდენელობით...

1883 წელში ვაფრთხილებდით ჩვენს სამღვდლოებას, რომ მოზადებულიყვენ საბრძოლველად კალმებით მებრძოლთა წინააღმდეგ. კარგი ხანია დადვა დრო რაც სოციალიზმი იბრძვის კალმით სარწმუნოების წინააღმდეგ და ჩვენი სამღვდლოება, განსაკუთრებით უმაღლესი სწავლის მიმდებნი კი სრულებით გაუმეზულან და ჯამაგირის მომატებაზე თუ ფიქრობენ, თორავნ სხვა არა აწუხებთ-რა. ამისთანა უბედური დროში სწორეთ სასიხარულოა ყოველივე წიგნის და წიგნაკის გამოცემა წინააღმდეგ სოციალიზმის ქადაგებისა.

მოგვეყეს აქვე ამ წიგნიდან ცოტაოდენი ადგილი ჩვენი მკითხველებისათვის.

„სოციალიზმს, ამბობს ლერუა ბოლიე, კანონიერად მოაქვს თავი, როგორც დოკტრინას, მას აქვს თავისი ფილოსოფია და პოლიტიკა, როგორც არის



მისი ფილოსოფია? ეს ფილოსოფია, რომელიც აღ-  
 ლევს მიმართულებას მიუღ მის პოლიტიკას, ძირი-  
 თად წინააღმდეგია ქრისტიანულ საწმენოებებსა,  
 რადგანც ის ცდილობს კაცობრიობის აზრები და  
 იმედები ჩამოიყვანოს ზეცილგან ქვეყანად“.

„ქრისტიანობა, საზოგადოდ რელიგია, გვითი-  
 თებს ცაზედ! ის იწვევს ადამიანთ, ერებს აღაპრონ  
 გული და გონება მაღლა, უხილავისადმი, რასაც  
 ჩვენ ვესახით საიქიოს. სოციალიზმი, ნაკლად ამი-  
 სა. თავის მოვლემობად რაცს დაახრავინოს ხალხს  
 თვალნი და გონებანი დაბლა, მიწაზე, ამას ჩადის  
 ის შეგნებულად, ვაღწყვეტით. სოციალიზმი რომ  
 მატერიალისტურია, ანუ ის რომ უწოდებს თავის  
 თავს პოზიტივისტს და უფრო ხშირად მომხრეა მა-  
 ტერიალიზმისა, ამას სჩადის ის განძახს, ამას სჩადის  
 იმიტომ, რომ სასარგებლოა მისთვის. ის გრძნობს  
 რომ მომხრეების საუკეთესო შესაძენად და მათზე  
 სამუდამოდ უფლებებს შესარჩენად უკეთესი საშა-  
 ვლება დააჯერო ყველა, რომ გარდა ქვეყნაური  
 ბედნიერებისა, ყოველი იმედი და მოლოდინი ფუჭი  
 და ტყუილია. ამ შემთხვევაში, როგორც ზოგიერი  
 სხვაში, შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმი  
 არის სახე რელიგიისა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არის  
 ანტირელიგია, რომლის პრინციპები და სწავლის  
 საფუძველი რელიგიოზურ შეგნების არსების წინა-  
 აღმდეგია, აღარაა ამიერთიგან ქვეყნის იქით იმედი;  
 იმედი ზეცაზე არის მხოლოდ ბავშური ოცნება, ან  
 სათაკილო მიზირება; როგორც ცხოვრება, ეგრეთვე  
 კაცის აზრი უნდა დარჩეს ამ ქვეყნის აზრებობის  
 საზღვრებში. ერი, ხალხი სხვას აღარაფერს არ უნ-  
 და ელტოდეს, გარდა ამ ქვეყნაური თავისი მოკლე  
 ემიერი არსებობის უკეთესი მოწყობისა. სოცია-  
 ლიზმის უფრო ფიცი მოციქულები, რომ შეეძლოთ,  
 სისხარულით გააქრობდნენ ცაზე ვარსკლავებს, ან  
 სრულებით დაგვიშლივდნენ მათ, რომ მოწმედლო  
 ზაფხულის დამეში დაეშალათ კაცისთვის ფიქრი  
 მომავალ დაუსრულებელ ცხოვრებაზე.

„თუ ამგვარად წარმოვიდგენთ სოციალიზმს,  
 იგი არსებითად არის ხილასიკური. მას აქვს თავისი  
 საშოთხე, მას აქვს თავისი მომავალი იერუსალიმი,  
 თავისი სანეტარო სახელმწიფო, რომელიც უვლენ  
 რჩეულნი. ეს არის მისი დოღმატი, რომლის დაც-  
 ვასაც იგი ცდილობს; ეს არის მისი უმთავრესი დე-  
 ბულება და როგორც რელიგიების უმრავლესობაში,

ეს დოღმატი შეიღვენს მის ძალას და იზიდავს მის-  
 კენ ახალ მოქცეულთა მრავალ რიცხვს. სოციალიზმს  
 აქვს თავისი საშოთხე. სოციალისტები, არ კმაყო-  
 ფილდებიან მით, რომ აღუთქვამენ ხალხს ამ საშო-  
 თხეს, წარმოუდგენენ მის მომავალ საკვირველებებს,  
 რომელიც აწერილ არიან მათი მოძღვარ-მასწავლ-  
 ბლების განცხადებებში, ისინი უზენებენ მას სრუ-  
 ლიად ახლო; მათი აზრით მხოლოდ საქამაა ხელის  
 გაშვება და ხელთ იგდებთ მას. ეს საშოთხე სოცია-  
 ლიზმისა არის არსებითად ქვეყნაური; ეს არის სა-  
 შოთხე, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ ქვეყა-  
 ნაზე მეცნიერებისა, კანონებისა და ქონების გასა-  
 ზოგადების საშავლებით; საქირაა მხოლოდ სო-  
 ციალისტებმა ჩივდონ ხელში უფლება, რომ ყვე-  
 ლასათვის ვაიღოს მათი საშოთხის კარები. ეს მომ-  
 ვალი საშოთხე სოციალისტებს უნდათ აღაშენონ ამ  
 ქვეყანაზე, რომელსაც ქრისტიანებრ დაქინებით  
 უწოდებენ „ტრემლთა დღევანდელთ“. წარმოდგინეთ,  
 რა ძალა აქვს უბრალო გონებისათვის მარტო ამ  
 დაპირებას! რასაკვირველია, მცადინეობა, რომ  
 ქვეყანა შეიქმნეს საშოთხედ, მაღალი აზრი და კე-  
 თილ-მოზილური იდეალია. კაცის აზრის და ამედ-  
 მის უბოქვა ამ ქვეყანასთან, რომელიც შეადგენს  
 მის ხეულას, ჩამოშვება საშოთხისა ზეცოდან ქვეყნად,  
 შეიძლება გვეჩველოს გამოცდილად და ბძენდ გონების  
 საქმედ, მაგრამ ვანს ეს უტოპიური იდეალი არ არის?  
 ნეტარების და უკვდავების მწყურვალე კაცის გულს  
 ბევრნაირი საოცნებო წარმოდგენა აქვს საშოთხეზე,  
 მაგრამ მათგან ყველაზე უფრო ზღაპრულად მხეფე-  
 ნება ქვეყნაური საშოთხე, რომელსაც აღუთკვამენ  
 თავის მოწაფეებს სოციალიზმის წიგნწარ-მეტყვე-  
 ლები, ვი, რომ დღეამიწა არაოდეს არ გახდებო-  
 საშოთხედ! რასაკვირველია, ჩვენ შევიძლია, ჩვენ  
 უნდა ესცდილობდეთ შევიტანოთ ქვეყნაურ ცხოვ-  
 რებაში მეტი სიყვარული, მეტი სიმართლე, მეტი  
 მშვილობა და ამით მეტი ბედნიერება, მაგრამ საუ-  
 კუნოებიც რომ შევალიათ ამ მეცადინეობას, სწო-  
 რედ რომ ნაცოფიერებ იყოს ჩვენი შრომა, ჩვენ  
 მხოლოდ შევამცირობთ კაცობრიობის ტანჯვას.  
 მაგრამ მოსაზობით კი ვერ მოგსაზობთ მას.

„ქვეყნაური საშოთხეზე, სიმღერა ნიშნავს კაცო-  
 ბრიობის მოტყუილებას; და კიდევ მეტსაც; ჩემის  
 აზრით, როდესაც თქვენ ბედშევი კაცობრიობას არ-  
 თმევა უფლებას იფიქროს ზეციურ ახალ ცხოვრე-



ბაზე, მაშინ, როდესაც სივრცისა და ყველა უსაზღვროებასთან ერთად მეცნიერება უფენს ჩვენ განებას დაუსრულებელ გარიზონტებს, ვინეორებ, ჩემი აზრით, თქვენ ხელს კი არ უწყობთ კაცის ბედნიერებას, არამედ უფრო ალატაკებთ მის ქვეყნიურ ცხოვრებას დაამახინჯებთ მის სულს“.

„სოციალისტები კატეგორიულად უკრძალებენ მორწმუნეებს, ანუ ფილოსოფოსებს, ქვეყნის გარეშე ყოველ იმედს, უკრძალებენ იმ მოსაზრებით, რომ დღე-ბუდღეც ეს-ეს იყო ელაპარაკობდი, რომ დაბლა ჩამოიყვანონ და მით კაცთა მთელი ყურადღება, ყველა გრძობები, ყველა იმედები მიაქციონ დღემიწაზე, ქვეყნის ცხოვრებაზე და იმ ბედნიერებაზე, რომელიც შეგვიძლია ხელთ-ვიგდოთ და დავეპატრონოთ ამა არა ხანგძლივ ქვეყნიურ არსებობის დროს. ასე, ცხადია მიხედვრლი მკვლევარისთვის, რომ სოციალიზმისა და ქრისტიანობის შორის, კოლტეკივიზმისა და რელიგიის შორის არსებობს თვალსაჩინო და შეუღიგებელი განხეთქილება“.

„ეკლესიის დასაწყისშივე ჩვენ ვხედავთ დიად იდეას, ღვთის სასუფეველის შესახებ მოძღვრებას. ქრისტიანებს უნდოდათ დაერსებინათ სასუფეველი დღეა მიწაზე. შესახებ ამ სასუფეველისა, რომელიც შირად იხსენება სახარებაში, სხვა და სხვა დროს ბქონიათ სულ სხვა და სხვა აზრი როგორც სჩანს, ვდივიწყებულია, რომ ძველად ქრისტიანთა დიდ ნაწილს ეს სასუფეველი ღვთისა საზომოდენილი ბქონდათ, როგორც ქვეყნიური. დღეს კი თითქმის ყველგან, ყველა რივის ქრისტიანებმა ხელახლად დაიწყეს ამაზე დეჟირი. ატლანტიის ოკეანეს ორივე ნაპირზე იმ ერთა შორის, რომლებიც თავის მოვალეობად სთვლიან დამიყარონ სახარების დიდებულ გადმოცემაზე, თვითოეული შორწმუნე ჰკითხავს თავის თავს, ანუ თუ რელიგიის მისხია იმაში არ მდგომარეობს, რომ პირველ ქრისტიანთა რწმენის თანახმად, ჩვენც ვიღვაწოთ კაცთა შორის ღვთის სასუფეველის მოსვლისათვის. ან კი როგორ არ უნდა ბქონდეთ ქრისტიანებს, ჩემი საზოგადოების მღვდლარებისა და მისწრაფების მხედვლათ, ეს კეთილშობილური ზრუნვა? როგორ დარჩებიან ისინი არა მისი თანამოზირენი, როდესაც ლოცვაში რომელსაც ყოველ დღე იმეორებენ ქრისტეს მოწაუნენი, ყოველ დღე სთხოვენ ზეცაერ მამას: „მოვედინ სუფევა შენი!“ როგორი სუფევა? სუფე-

ვა ღვთისა, ესე იგი, სასუფეველი სიყვარულისა, სასუფეველი სიმართლისა, სასუფეველი მშვიდობისა და ძმობისა. ეგეთია ქრისტიანული იდეალი.“

„ღიად იდეალი, ძველი, სოციალური და მასთან ერთად რელიგიოზურია იგი. ამ იდეალს სკეპტიკები უსაზროლოდ დასცილოდნენ, რადგანაც მის განსხორციელებლად რელიგიოზურ სწავლას აქვს ძლიერი საშვალებანი: სარწმუნოება, თავის უარყოფა, თავგანწირულება, რომლებიც ხშირად აკლთა მის მოწინააღმდეგებს, განსასუთრებათ კოლექტივისტებს.“

„მე ვაგათავებ იმ გვარივე ფიქრებია, რომლებმდინაც მიმიყვანა დემოკრატია. მე ვფიქრობ, რომ სოფილიზმს იგივე დამოკიდებულება აქვს რელიგიასთან, როგორიც თმამდროვე დემოკრატის ქრისტიანობასთან. რჯულზე უარის ყოფით, ქრისტიანულ გადმონცემაზე ხელის აღებათ და მეცადინეობით, რომ მომავალ სახელმწიფოვგან სრულიად განდევნილ იქმნას ღმერთი, კოლექტივიზმი, ნაცვლად გაადვილებისა უფრო იძინებს ნაკისრ საქმეს. კოლექტივიზმი საქმით ნაღვლილი უტოპისტა და ფიქრით კი ფიქრობს, როც პრაქტიკულ და რწალურ მოძღვრებას ვაღვევარო.“

„თავიანთ ოცნებათა განსახორციელებლად სოციალისტებს სჭირდებათ ისეთი იარაღი, რომელსაც უნდა შეეძლოს კაცის გულის და ბუნების გადაკეთება, ამ გვარ სასწაულებრივ იარაღს მათ მისცემდა რელიგია, მაგრამ ისინი უარყოფენ სარწმუნოებას.“


„უარყოფა ღვთისა, განდევნა ზეცური სამშობლისა და ქრისტიანუ ძმობის რდისა იმ მიზეზით, რომ უკუაგლონ ყველა მეტაფიზიკური და საღვთისმეტყველო დებულებანი, ეს ნიშნავს კაციისა და კაცობრიობის უმჯობესად გადაკეთების საქმის ხელის მოკლებას კი არა, ეს ნიშნავს თვით პირივნების განვითარების უძლიერეს საშვალების უარყოფას და. კაცთა საზოგადოებების უმარგისი ცემენტის დარღვევასაც.“

„სოციალიზმი ძლიერია ბრძოლაში, მძლიერია დამხობაში, მაგრამ ვეჭვობ, რომ მას შეეძლოს მსგავსივე შემოქმედება. მას შეუძლია შეარყიოს თანამდროვე საზოგადოების საფუძველი; მას შესწევს იმოღენი ძალა, რომ, შეიძლება, ოდესმე სულაც დაამხოს იგი; მაგრამ ვეჭვობ, რომ ამ



ნანგრევებზე მან შესძლოს ახალი საზოგადოების, თავისუფალის და სიმაღლის სახელმწიფოს დაფუძნება, ვინაიდან, რომ რაიმე მაგარად და მტკიცედ დააფუძნო, უნდა გქონდეს ზნეობრივი ძალი, და უწინარეს ყოვლისა ის ზნეობრივი ძალი, რომელსაც წარმოადგენს სარწმუნოებრივი გზრძობა. ეს- ლაც და წინეთიც, მომავალშიც და წასრულშიც სარწმუნოება რჩება კაცთა საზოგადოებების ერთად ერთ შეუმუსვრელ საფუძველად და თუ ამ საფუძ. ველმა იწყო ოდესმე დარღვევა, უნდა ვიცოდით, რომ ეს არ იქნება სახირო არც თავისუფლებისა, არც ძმობისა და არც სიმაღლისათვის.“

დკე. ღ. ღამაშაიძე.



**გამრანიის კოლონიალური პოლიტიკა და სპარსეთი.**

თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება აიძულებს ყოველ სახელმწიფოს საქონელი სხვა ქვეყნებში გაასაღოს, რადგან შინაგანი ბაზარი გველია, საქონელი მეტია მყიდველებზე და ფასი ეცემა. ამიტომ ყოველი სახელმწიფო ცდილობს შიგნით დარგობებული საქონელი საზღვარ გარეთ გაიტანოს და უცხოეთის ბაზარზე გაასაღოს. ეს აუცხადებელი მოდგენა დღევანდელ კაპიტალისტურ ცხოვრებაში. ყოველივე სახელმწიფო ეძებს თავისუფალ ბაზარს თავის საქონლისათვის, რაიც ხშირად ომებს იწვევს ხოლმე.

აგერ ორი წელიწადია, რაც გერმანია ეომება სამხრეთ აფრიკის მცხოვრებთ და უნდა იგინი დიამორილოს, რომ იმ სიმდირით რაც ამათ ხელშია ისარგებლოს. უკვე 1000 მილიონ მარკაზე მეტი დაიხარჯა ამ ომზე და ჯერ ჯერობით ბოლო არ უჩანს. სულ ორი წელიწადი გაიდა მას აქეთ რაც რუსეთ- იაპონიის ომი გათავდა, 400,000 კაცი იმსხვერპლა ამ ომში, აუარმებელი ფული და ბევრი ოჯახი დააობლა და ყოველივე ეს იმითმ ხდებოდა, რომ მანჯურიაში რუსეთიდან გატანილა საქონელი გასაღებელიყო, 1092 მილიონი მანეთი ჩაიღუბა მანჯურის რკინის გზაზე და დღეს იგი იაპონელების ხელშია.

აგერ ერთი თვე იქნება, რაც ევროპა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს იაპონიასა და ამერიკას შორის დამოკიდებულებას, ამერიკის სამხედრო გე-

მები ნელ-ნელა დასერირობენ წუნარ ოკეანეში და იაპონიის გემები ამერიკაში სტუმრათ მოლიან. ძნელი სათქმელია მოხდება ომი თუ არა ამ ორ ქვეყნებს შორის, მაგრამ თუ მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ იაპონიის სავაჭრო ძალი ჩინეთში შეამკირან.

ყველა ეს მაგალითები და ათასი სხვა აშკარა მოწმობენ ჩვენს ზემოთ გამოთქმული აზრების სიმართლეს. ვანაკუთრებული ყურადღება ამ დაბალი დროს ევროპის სახელმწიფოებმა სწავსეთს შიაქიტეს. იმ დროს, როდესაც რუსეთის და იაპონიის ჯარები გახურებულ ბრძოლაში იყვნენ, რუსეთის ინჟინრებს სპარსეთის საზღვრიდან (ჯუფუფა) რკინის გზა გაყავდათ, დღეს ეს რკინის გზა ქალაქ ქუზანსამდე უკვე გაყვანილია და მატარებლების მიმოსვლაც მალე დაიწყება. აშკარაა რუსეთს უნდა ამ რკინის გზით სპარსეთში თავის საქონელი გაასაღოს და სპარსეთის საქონელი რუსეთში შემოიტანოს, ამას-გარდა რუსეთს უნდა ეს რკინის გზა ეგრე წოდებულ წითელ ზღვამდე გაიყვანოს, რომ აწაიარად ინდოეთისკენ ქონდეს გახსნილი გზა. რუსეთის ამ მისწრაფებას არ შეუძლია ხელი შეუშალოს სპარსეთმა, რადგან მას სესხი აქვს აღებული რუსეთიდან და რადგან ის სესხი აქამდე ვერ გადააღდა, ამიტომ რუსეთმა სპარსეთის სადამოყენებელი ხელში ჩაიგდო და იქ ბელგიელი მოხელეები დააყენა, რომ სადამოყენებლის შემოსავლით გაიწაღდოს სპარსეთისაგან ნასესხები ფული.

რუსეთის ამ პოლიტიკას გერმენია და ინგლისი ხელ-დაკრფილი არ უყურებენ, აგერ 2 წელიწადი იქნება რაც გერმანელთა და ფრანგების სააქტიონო საზოგადოებამ დაიწყო ოსმალეთის ქ. ბალადიდან—მცირე აზიის განაპირამდე რკინის გზის შენება. ბალადის რკინის გზის გასაყვანათ 60% ხარჯავს გერმანია და 40% საფრანგეთი. სულ დაჯდება 500 მილიონი ფრანკი ე. ი. 230 მილიონი მანეთი და 2 1/2 წელიწადში დასრულდება. როდესაც ეს რკინის გზა მზად იქნება მანში საფრანგეთის და გერმანიის საქონელი სპარსეთში უფრო მალე შემოვა და აწაიარათ რუსეთს დიდ კონკურენტის გაუწევენ. აღმოსავლეთიდან სპარსეთს ინგლისის სამფლობელოები უძევს: აფგანისტანი და ბელუჯისტანი. ინგლისს უნდა სპარსეთის ზღვის ნაპირი ქ. ბენდერ-აბასი ციხეთ გადააქციოს, აწაიარად ზღვის ნაპირი თავის ხელში ჩაიგდოს და სპარსეთიდან სხვა ევროპის სახელმწიფოები, რუსეთი და გერმანია

გამოძევოს, ინგლისის ამნაირმა პოლიტიკამ დიდ საგონებელში ჩააგდო გერმანიის მართებლობა და კაპიტალისტები. ერთმა ცნობილმა გერმანიის სახელმწიფო მოღვაწემ კ. ვებტერი შეიმუშავა პროექტი, რომლითაც ქ. ბალადი—კასპის ზღვას უნდა შეუერთონ არხით, სიგრძე 660 ვერსი ექნება და დაეგება 400 მილიონი ფანკი ე. ი. 180 მილიონი მანეთი. გეგმა შედგენილია: ქ. ბაღდადთან ახსა მიყვება მდინარე დაიქსა ქ. სინამდე—აქედან მდინარე გაიხილ-უსეინს კასპის ზღვის ნაპირამდე ე. ი. ქალაქ ვნებლიმდე, სადაც სპარსეთის საეპრო ნავთ-საღ-გურია. აქედან საქონელს გემებით ბაქოში და ასტრახანში ვადაზიდავენ. ასტრახანიდან ვოლგით შეუაგულ რუსეთში და ბაქოდან რკინის გზით რუსეთისკენ და ბათუმისკენ. გერმანიელი მოგზაურების და ინჟინერების გამოკვლევით ეს არხი სპარსეთის უმდიდრეს ადგილებში გაივლის. მდინარე დაიქსა ნაპირებზე შემდეგი სიმდიდრეა: სუთას წყაროება, აქვეა ქვა-ნახშირის მადროება, რომელიც ნავთის წარმოებას ძლიერ ხელს შეუწყობს, გოგირდი, ცინკი, ვიფსი, ძვირფასი ქვები, სპილენძი, ოქროსა და ვერცხლის მადნები, რკინის მადანი. მცენარეულობიდან: ხე-ტყე როგორც საშენებელი მასალა, ფორთოხლის ხეები, ბროწეული, ლეღვი, ზეთის ხილი, ნუში, ბრინჯი, სიმინდი, ქერი, ბამბის მცენარეულობა და თუთანი, ღვინო და თაფლი. გერმანელი მკვლევარი საშინელის სითამამით აიძვდებს თავის თანამემამულეებს: „ყველა ეს სიმდიდრე ჩვენ ხელში ჩავგივარდება, რადგან სპარსეთი ჩვენ წინა-აღმდეგობას ვერ გაგვიწევს, მცხოვრებლები მშვიდი ხალხია, მსოფლდ ფუფით უნდა დაუთარა დაუხნაოთ“.

ქ. სინას ახლო აღმებსტრი მრავლად იშოვება, ვგრეთვე შაქრის ლერწამი, რომელიც ამერიკისა 40% სჯობია, აგრეთვე მრავლადაა შავი-ქვის, რკინის მადანი და კალა.

მთელ ამ სიმდიდრეს ევროპიელები გაშტრებული თვლით უყურებენ და უნდათ, რომ მალე ხელში ჩაიგდონ. ამ არხის გაყვანის პროექტის შემდეგ მიმდინარე წელს 30 მარტს ქ. სტრასბურგში (გერმანია) მოხდა კრება გერმანელ ბანკირების და მწარმოებლების, რომელმაც აირჩია მკვლევართა კომისია. ეს კომისია გაემგზავრა სპარსეთში ადგილობრივ გამოსაკვლევად და მალე აღბათ საქმესაც შეუდგებიან. ამ ვარემოებას ხელს უშლის რასაკვირ-

ველია სპარსეთის პოლიტიკური არეულობები. გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე კ. ვებტერი ურჩევს რუსეთს დაეხმაროს გერმანიას ამ არხის გაყვანაში, რომ ამ ნაირთ სპარსეთში ინგლისელების გავლენა შეამციროს. ასე უნდათ გაწეწონ დამშეული სპარსეთი ევროპის სახელმწიფოებმა, ის ქვეყანა სადაც ასეთა სიმდიდრე მარხა და სადაც ხალხი ასე სწინადათ დაჩაბია. ზამთარში, როდესაც სიცვებება შემა რომ არ აქვთ დასანთებათ ფუნაში ჩაძვებიან ხოლმე და იქ თბებიან. ძველი დიდებული ლომის ძლიერება დეეცა და ერთი არაკის არ იყოს ისეთი დღე ემართება სპარსეთს. ევროპიელების ბრძანებლობას სპარსეთში ვერაზინ ვარ შეაჩვრებს და დღევანდელი მეგლისი მხოლოდ გზაში ეფერება ამ გავლენას, ამიტომ თუ არეულობები ვაგრძელდება ევროპიელები იძულებული იქნებიან ხელი შეუწყონ მათ, რომ ამნაირად უფრო შეასუსტონ სპარსეთის ძალა. გერმანელი მკვლევარი შემდეგი სიტყვებით ათავებს თავის გამოკვლევას: „მომავალ გიგანტურ ბრძოლაში აზიასათვის ჩვენ არ ვაბძვით აზიელებს წინააღმდეგე, არამედ ინგლისელების წინააღმდეგე“. ეს ცული დამედება, რადგან სპარსეთის ხელში ჩაგდება ორივეს სურს და რომელსაც ჩაუვარდება ამით საქმე არ გამოიკვლება, რადგან დაზოგვით არცერთი არ დაზოგავს. ამნაირად ჩრდილოეთით რუსეთი, აღმოსავლეთით ინგლისი და დასავლეთით გერმანია-საფრანგეთი, შინ შიმშილი, არეულობა და მოხელეთა თავებობა, აი დღევანდელი სურათი სპარსეთისა და თუ უკეთესი ბელი ელირსა სპარსეთს ეს მხოლოდ შემდეგი იქნება: ეგრნაიულ კაპიტალის დაქინჯვებულ შეუსად კასლამა.

დ. ღ.

### ნაპოლიდან მიუხმნამდე.

(26 მარტი—11 აპრილი)

მეზავრას შენაშენება

(ავრძელება\*)

7 ანაილს საღამოს 10 საათზე ვავემგზავრთ რომიდან—მილანისაკენ. აქედან ორი გზა მიდის ერთი ქ. ჰანაზე, მეორე კი ფლადრენციაზე, ჩვენ ქ.

\* იხ. მწეემისი № 13 1907 წ.



პიზაზე წამოვედით. რომიდან მატარებელი სულ ზღვის პირით მიდის და მშვენიერი ბუნება მგზავრობას ძლიერ სასიამოვნოთ ხდის. დღის 6 საათზე 8 აპრილს ჩავდით ქ. შაზაში. — პატარა ქალაქია სულ ქუთაისის ხელა იქნება, მაგრამ სუთა და კობაქ, ამ ქალაქში შესანიშნავი სობოროა და კოშკი, რომელიც სულ ოცი წელიწადია რაც აშენებულია, მაგრამ შესანიშნავი იმითია, რომ ვარდსწიფთა ჯდის აშენებულია, თითქო წაქცევას აპირებდა. ამ კოშკის სანახავათ მოდიან სპეციალურათ, სიმაღლით იგი 16 საყენი იქნება და მაღლა ეკლესიის ზარები კიდია. კოშკის დათვალიერების შემდეგ დღის 9 საათზე გავემგზავრეთ ქალაქ გენუისაკენ.

პიზიდან დაწყებული ქ. სპეციამიდნ მატარებლის გზას მთის გრებილი მიყვება და მთის მწვერვალები თუთრად ბრწყინავენ მზის სხივებზე, რადგან სულ მარმარილოს მთებია, ამ ადგილას ძალიან ბევრი მარმარილოა; რკინის გზა სულ მალარის ვენახებში გადის და ქ. სპეციიდან იწყება გვირაბები, ჩვენი მოგზაურობის დღეს იტალიაში სახალხო დღესასწაული იყო და საღვთობი ბიბირაღლით იყო მორთული, ხალხი მრავლად დასვირობდა და ყოველი მხრიდან სიძღერა გაისმოდა. გვირაბები ოცი ვერსის მანძილზე გაჭიმული და სულ ზღვის პირს მიდევს, მხოლოდ დანაწილებულია, ასე რომ მატარებელი, რომ ერთი გვირაბიდან გამოვა უცხად განათლდება, ზღვის ტალღები კლდეებს ეხეთქება და მატარებელი მერვე გვირაბში შედის, ასე გრძელდება სულ გენუამდე.

8 აპრილს ნაშუადღევს 2 საათზე შევედით ქ. გენუაში. გენუა ერთ უმდიდრეს ქალაქთაგანია, არა თუ იტალიაში, არამედ მთელ ევროპაშიდაც კი; სივრცით იგი არ არის დიდი, მთის ქალაქია და ერთი-ორი ქუჩის მეტი სულ მთები არის დასერილი. გენუა შესანიშნავია როგორც ნავთსადგური. 27% იტალიიდან გატანილი საქონელი, სულ გენუადან მიდის. ყველაზედ ბევრი გემები იტალიანურია, მერე ინგლისური, გერმანული და ისპანური, მარტო გემების სამოძრავებლად გენუაში წლიურად 6 მილიონი ჭვა-ნახშირი შემოაქვთ, მხოლოდ რკინის ზრის მიმოხელას ძალიან უშლის მთები, ასე რომ ბევრი საქონელის ერთად საღვთობებზე შემოტანა ძლიერ ძნელდება, გენუიდან უმეტეს ნაწილად გაქვთ აბრეშუმი და ღვინო. ქუჩები ქალაქში ძლიერ

სუფთაა და კარგი სანახავია გენუა საღამოს, როდესაც ელექტრონითაა განათებული. ყველაზე შესანიშნავი სანახავი აქ სსსფფაჟა, რომელიც მიეღლ დედა-მიწის ზურგზე განთქმულია ხუროთ-მოძღვრებით, ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე მოშორებული საღამოს 5 საათზე გავემგზავრეთ ტრამვაით, სასაულოა ორი მთის კალთებზეა გაჭიმული და გარეშაში კეთი-კირის ვალავანი არტყვი, სიგანე ასი საყენი აქვს და სიგრძე 300 საყენი, როგორც შიგ შეხვალთ თქვენ თვალს წარმოუდგება მწკრივით ჩარახული საფლავები, სურნელოვანი ვარდებით შემკული, ძველები საუცხოო ხელოვნებით არის გამოყვანილი. სასაფლავის აღმოსავლეთით სამლოცველოა აშენებული, რომლის წინაც ქრისტეს ქანდაკება ეკლის გვირგვინით თავზე, მარჯვნივ ტახტი დგას ზედ მოამკვდავი ქალი წევს და მის თავზე ანგელოზი დასდგომია. ეს სურათი ისეთი სინამდვილით არის არის გამოყვანილი, რომ ვაშტერებით მისჩერებინარა და გიკვირს თუ როგორ შესძლო კაცის ხელმა ასეთი სიმშვენიერის გაკეთება.

სასაფლავის მახლობლად გორაკზე პატარა ეკლესიაა აშენებული, სადაც მოვიხივით მშვენიერი მუსიკა, სოფლის ბავშვთა ხორა წყრილა ხმებით მოკცველთა სმენას ატკობდა და ჩამავალი მზის სხივები ნათლად წითლათ ანათებდა ეკლესიის ფანჯრებს. აქვე საფლავზე ხედავთ მტირალ ქირის-სუფლებს, რომელთაც ძვირფასი ადამიანები მიწის-თვის მიუბარებიათ. ყოველივე ნახული ცხადთ გამტნმბსთ, რომ თქვენ კეკლუც ქვეყანაში ხართ, რომლის ხელოვნება საუკუნოთ დაუეწყარი დარჩება.

ნავთსადგურის აღმოსავლეთ ნაწილში აგებულია უზარმაზარი სავაჭრო სახლები, სადაც მილიონები ტრიალობს, ასეთ მაღაზიებს ზერლინშიდაც ვერ შეხვალბა კაცი. საუცხოოო სანახავია შამპინს გაფერება, შუშაბანდით გადახურული მაღაზიები, სადაც ათასობით ტრალობს ხალხი, აქვეა დიდებული რესტორანები, სადაც საუცხოოო იტალიანური მუსიკის მოსმენა შეგიძლიათ. საღამოობით ქუჩებში მუსიკა უკრავს და ხალხიც ისევ მხიარულია, როგორც ნაპოლოში. შესანიშნავია ვერვითვე ახლად აშენებული გენუის მთავარი სადგური.

8 აპრილს დამის 3 საათზე გენუიდან მილანისკენ გავემგზავრეთ. გზათ შეგვცდა ქალაქი შპაია, სადაც





გასაყილად გზავნიან, უშველველდ დროგებს ხარებს და გოლანდიურ ცხენებს უზავენ, ამ მიზნისთვის 100 ხარი და 90 ცხენი ყავთ, თითო ცხენს 400 ფუთის დაძრა შეუძლია. შორეულ ქვეყნებში გასავზავნათ კი ბოთლებში ასხავენ და ცოტა სპირტს ურევენ, რომ არ წახდეს, თითო მუშა დღიურათ 6 ჩარეკა ლედს იღებს საჩუქრათ და თუ ლუღზე უარი თქვა მაშინ ფულად შეუძლია მიიღოს.

ყოველ დღე ლუღის ქარხნებთან მოწყობილია დიდი რესტორანები, სადაც ლუღის დაღვევა შევიძლიათ, ლუღი ძლიერ კარგი ღირსებისა და თითო ლიტრაში (ჩარეკაზე ცოტა ნაკლებია) 10 კაპეიკს მისცემთ, სხვა ქალაქებში კი ეს ლუღი ცოტა მეტი ღირს. ყოველ მიუზნენში მცხოვრებს აქვს აზნეილი რესტორანი სადაც ის მუღმივ დაღის, იქვე აქ საკუთარი ლუღის ქიქა, ხანდახან მთელი ოჯახობით ლუღხანაში სხედან. საინტერესო სურათს წარმოადგენს მიუზნენის ლუღხანები საღამოს 6 საათზე, როდესაც დასაჯდომ ალაგსაც ვერ იშოვიან. ყალიონს წვევენ, ლუღს სვამენ და თანაც თეთრ ბოლოკს ატანენ. სახეები ბევრი სმიდან სულ დაწითლებული აქვთ და ზოგა სულ გამოხეტარებული, ადგან საშუალო რიცხვით უმეტესობა დღეში 10 ჩარეკა ლუღს სვამს და ზოგიც მეტს.

1906 წ. მთელი მიუზნენის ლუღის ქარხნებმა გამოხადეს 85 მილიონი ჩარეკა ლუღი, რომლიდანაც 75 მილიონი ჩარეკა ლუღი მარტო მიუზნენში დაიღია და 10 მილიონი სხვა ქალაქებში გაიტანეს. საერთოდ კი რაც დედამიწაზე ლუღი იხარჯება 28% გერმანიას შორის.

ასე დასრულდა ჩვენი მოგზაურობა, რომელიც არ დაგვჯდომია ძვირი და უარჩევთ ყველა თანამემამულეთ ასეთივე საინტერესო მოგზაურობა საზღვარგარეთ წამოსვლის თროს გამოსცადონ.

**მ გ ზ ა გ რ ა .**

**პარტიების ცხორებაშიდან.**

ს. ფედერალისტების რეზოლუცია გუშინ წინ მკითხველთ ვაცნობთ ს. ფედერალისტთა დედეგატების კრების დადგენილება მესამე საათობიროს არჩენების შესახებ. ახლა მოგვწოდეს ამ კრების შემდეგი რეზოლუცია:

„ს.-ფ. პარტიის დედეგათა კრებამ განიხილა საკითხი მესამე საათობიროს არჩენებში მონაწილეობის მიღების შესახებს და მიიღო მხედველობაში შემდეგი გარემოებანი:

1) პარლამენტს მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და შეუძლია თავის დანიშნულების ასრულება, როცა ზურგი გამაგრებული აქვს მის გარეთ შეკავშირებული ხალხის ძალით. ორის სათათბიროს არსებობისა და დათხოვნის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჯერ ხალხს საკმაო ძალა არ მოუკრეფია, ვერ დარაზმულა სახალხო წარმომადგენლობისათვის შესაფერ დახმარების გასაწევად;

2) ამავე მიზეზით არც პირველმა და არც მეორე სათათბირომ ხალხს არაფერი არ მისცა; მთავრობამ აბუჩად იიღო ხალხის წარმომადგენელნი და რუსეთის წესწყობილების განახლებისათვის მუშაობის ნება არ მისცა;\*

3) მ იენისის კანონით მთავრობამ ის მცირე უფლებაც წაართვა მშრომელ ხალხს, რომელიც მან ბრძოლით მოიპოვა და ამის მიზეზით მესამე სათათბიროში უფრო ნაკლები იქმნება ხალხის ინტერესების დამცველი, მხოლოდ მეტნი იქმნებიან თავად-აზნაურობა და მსხვილი კაპიტალისტები, რომელნიც მთავრობის მორჩილნი იქმნებიან და ყოველ მნიშვნელობას დაუკარგავენ პარლამენტს; უკანასკნელი ვერც ხალხის სასარგებლო კანონმდებლობას გასწევს, ვერც პოლიტიკურ აგტიუციას შესძლებს;

4) იმავე მ იენისის კანონმა კერძოდ ჩვენს ქართველებს, შეგვიზღუდა უფლება: წინადაც მცირე რიცხვს წარმომადგენლებისას ვგზავნიდით სათათბიროში (შვიდს), ახლა კი მხოლოდ ორი კაცის ვაგზავნა გვერგო;

5) სარეგოლიუციო და სოციალისტურ პარტიებს ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში არ შეუძლიანთ პირდაპირი და ახლილი მონიწილეობა მიიღონ არჩენებში და პროგრამის შესაფერი აგტიუცია გასწიონ;

6) სარეგოლიუციო და სოციალისტურ პარტიებს დიდი და მხნე მუშაობა სჭირიათ ახლა ხალხის ხელახლავ დარაზმისთვის და ახლო მომავალად.

\* მართალი რომ სთქვას კაცმა საზოგადოებაშიც ხომ მართლა აბუჩათ ასადლები დებუტატები ვაგზავნა! რედ.

ვალში ბრძოლის განახლებისათვის; ამიტომ არ  
ღირს ქალების დაქაქაყა და ენერჯის დაკარგვა  
ისეთ მცირე და უმნიშვნელო ნაყოფისათვის. რომე-  
ლიც არც-კი არის მოსალოდნელი მესამე სათა-  
ბირიასადგამ.

ამ გარემოებათა და მოსაზრებათა ძალით ს.ფ  
პარტიის დელეგატთა კრებამ ღიღის ხმის უმეტე-  
სობით დაადგინა ბოიკოტი გამოუტყხადოს მომავალ  
სათათბიროს და არჩევნების პირველ პარტიებში  
მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმდენად, რამდე-  
ნად ეს საჭირო იქნება პროპაგანდის გასაწვეად  
და ბოიკოტის ტაქტიკის დასაცველად\*.

ს.რეფელ. ც. კ. ის განცხადება. ვაზეთებში და-  
ბეჭდილია ეს-ერების ცენტ. კომიტეტის შემდეგი  
განცხადება: „უკანასკნელ დროს პარტიაში კვლავ  
აღიძრა ლაპარაკი ტერორის შესახებ. ამის გამო  
ც. კ. გაახსენეს პარტიას პირველ კრების დადგე-  
ნილებათ, რომელნიც სავალდებულონი არიან  
პარტიის ყველა ორგანიზაციისათვის: აკრძალულია  
საფარო და საფაბრიკო ტერორი,—ამ საშუა-  
ლებით არ შეიძლება სადავო ეკონომიურის საქმე-  
ების გადაწყვეტა უზომისა და კაპიტალს შორის.  
აგრეთვე აკრძალულია ტერორი თავის რელიურ  
მოწინააღმდეგეთა მიმართ, თუნდაც ეს მოწინააღმ-  
დეგენი რეაქციის მახურნი იყვნენ და პოგრომების  
პოლიტიკას ქადაგობდნენ.“

მ ი ვ ა რ თ ი ა.

რისთვის ე' დური, სულა, ვაქას  
სოფლის კერაზე დაგანებულია  
მისთა ვნებათა, უაღბ გრძნობათ ზედა  
სასოს დაშვება, დაშვარეული?

მისხურებ მოეგვას წინაშედ სურვილს,  
გულთ ეწინაფი, ეთაყვანებო  
და რადაც გიკვირს ნეტარების  
ადარ გესხება: ზეცისა კანი?

რისთვისა აუვდრი და ჭკმიბ დვთაქას  
ტანჯვის ქვეყანად დანარტებული:

შენ თვით უარეუ და არ მიიდე  
გზა ცხოვრების მისკან მტნებული.

რას განიკითხავ სხვისა მონასა,  
ეკებ მის თვალში იზოფა წველი:  
შენში თან-და-თან მრავალ ტრატდება  
და ღრმად იკიდებს ფესუს დრე-ქელი.

რას გიკვირს ირგვლივ კბილებს დრჭუნა,  
ტანჯვა—ხიშვარე კარშემო-მტყველი!  
ეკლის დამუქსმა ვინდა მთიმკა  
ტურფა ვარდისა სხამო სთველი?

გსურს ნეტარება?—იმეუ მეორედ  
და განაძრევე სემისი ძველი  
მთველით ჩემდა... შენებრ მაშენადთა  
უწოდს შეუფე იესო მისხელი.

მის სიყვარული და ერთეულება  
აინთე გულში სიხტცის დასმნად.  
მას ნუ გაფიქრებს ქარიშხალთ ქრლას,  
თავი შესწირე წულვად, დასდახვრად.

მასში იზოვი დვთაებრის წკაროს,  
ზესთა-სიბრძნისკან გამდინებულს  
მიუხვარ ბაკე: ის განგასიყენებს  
მიიქედ დამაშვრადს, მთუდლურეუტულს.

წინ გაუმტყავრე გოლგოთის გზითა  
და აუდერე გულისა ქნარი,  
თან იგალობე თუ ვითარ ზიდა  
სიმართლისათვის ტანჯვისა ჭკარი.

გოლგოთას არის მართალთა კუბო  
და იქ დავეუღე ტანჯულ-ვნებული;  
დმობრწინებებს მზე სიმართლისა,  
დღერ დავიდებებს განსჯელიუ...  
რისდრე მწიბო.



### შურნალ-გაზეთებიდან

იაპონიასთან ომის დროს რუსეთმა დაპყრობა თითქმის ორი მესამედი თავის ფლოტისა. მიუხედავად ამისა, საზღვაო ბიუჯეტი წინანდებურად დიდია. გაზეთი „რუს“-ი სწერს:

„ამ ქაზად ჩვენი ფლოტი, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით იმ ძველ დანგრეულ ხომალდებს, რომელთაც არაფერი დასი არა აქვთ ბრძოლისთვის, უღრის... ავსტრო-უნგრეთის ფლოტს, ე. ი. იმ სახელმწიფოს ფლოტს, რომელიც არც-კი ითვლება საზღვაო სახელმწიფოდ. მაგრამ იმ დროს, როცა ავსტრო-უნგრეთი მხოლოდ 18 მილიონ მანეთს ხარჯავს თავის ფლოტის შენახვაზე, ჩვენი მთავრობა იმდენივე გემის შენახვაზე ხარჯავს 81 მილ. მანეთს! მარტო აღმირალების, გენერლების, აფიცრების და სხვა და სხვა მოხელეების ჯამაგირს ჩვენი ფლოტში 25 მილიონი მანეთი უნდება, ე. ი. 1/2-ით მეტი ვიდრე ავსტრო-უნგრეთის მთელი საზღვაო ბიუჯეტია. ასე უზომოთ რომ არ იხარჯებოდეს ფული, ჩვენ შეგვეძლო ყოველწლივ 55 მილიონი მანეთი მაინც გადაგვეღო ახალ გემების ასაშენებლად ან ამდენზე შეგვემცირებინა ჩვენი ისედაც ერთობ გადიდებული სახელმწიფო გავაღლის ბიუჯეტი.“

მაგრამ ბიუროკრატია არ ფიქრობს ამაზე: მას სხვა გზით ურჩევნია ფულის შოვნა და ეკონომიის არ დასდევს, ოღონდ აღმირალ-გენერლების ჯიბეს არაფერი დააკლდეს. „რუს“-ი სწერს, რომ უცხოელ გაზეთების ცნობით; რუსეთის მთავრობამ მოახერხა და სესხი იშოვნაო:

„დასაზღვრებელი ამბობენ, რომ რუსეთი სესხს მიიღებს, როგორც კი დამთავრდება და გამოქვეყნდება ინგლის-რუსეთის შეთანხმებაო. მაგრამ სესხი სხვა ხარისხისაა, ვიდრე მთავრობას სურდა, სესხი—500 მილიონი მანეთი—თითქმის სულ ფლოტის აღრიცხვების საქმეს უნდა მოხმარდეს ფული სულ საზღვარ-გარედე დარჩება: ნაწილი საარგებელში მიეცემა წინანდელ კრედიტორებს რუსის მთავრობისას, ნაწილი კი დაიროგდება დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა ქარხნებს, რომელთაც იკისრეს რუსეთისათვის ახალ გემების ასშენება.“

ამრიგად რუსეთის სახელმწიფო ვალი კიდევ იმატებს ნახევარი მილიარდით ისე-კი, რომ აქედან

ერთი გროშიც არ ხვდება რუსეთს და მთავრობა იძულებული იქნება კვლავ ეძიოს სესხი...  
\*  
\*\*

6 ავგისტოს შესრულდა ორი წელიწადი, რაც რუსეთის პირველი კონსტიტუცია გამოცხადდა. ამის გამო გაზეთი „რუსკ. ვედ.“, სხვათა შორის, ამბობს-

„მართალია მას შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა და ჩვენ უკან-უკანაც დავ წვეთვ; მართალია სახალხო წარმომადგენლობა ჯერ ჩვენში არ განხორციელებულა და ეს ისევ მომავლის საგანია. მაგრამ ყველა ეს საქმის მეორე მხარეა მხოლოდ. განვლილმა ორმა წელიწადმა ბევრი შესძინა რუსის ხალხის თვითშეგნებას და მტკიცედ შთაუნერგა გონებაში, რომ მარტო დემოკრატიულს სახალხო წარმომადგენლობას შეუძლიან იხსნას რუსეთი კრიზისისაგან... არ ვიცით, როგორი იქნება ჩვენი ახალი კონსტიტუცია, რა განსაცდელს უშვადებს იგი კიდევ რუსეთს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ძველის დროიდან დაწყებული დედა აბსოლიუტიზმისა და პარლამენტარიზმის შორის უკვე გადაწყდა და გადაწყდა პარლამენტარიზმის სასარგებლოდ.“  
(„ისარი“)

პრესის მდგომარეობა და როდენობა ჟურნალ-გაზეთებისა ხშირად უტყუარი საზომია ერის კულტურისა და გონებრივ განვითარებისა. ამის გამო „ზაკ.“-ში დაბეჭდილია წერილი ვინმე „სალამანისა“, რომელიც ამ საზომს ხმარობს სომეხთა კულტურისა და გონებრივ განვითარების გამოსაკვლევად.

„1897 წლის აღწერით გულშრში სომეხთა შორის წერა-კითხვა იცოდა 31%<sup>1</sup>მა, ახალ-ქალაქში 40%<sup>1</sup>ო, ახლკიბენში 38%<sup>1</sup>ო, ნოკომბაიანში 17%<sup>1</sup>ო.“  
აელორის მოკვაცეს ქართული ქალაქები და სომეხებს ამ მხრივ აღარებს ქართველებს.

„ქუთაისში ქართველთა შორის წერა-კითხვა იცოდა 47%<sup>1</sup>ო, ოზურგეთში 32%<sup>1</sup>ო, გორში 49%<sup>1</sup>ო, სიღნაღში 31%<sup>1</sup>ო. საერთოდ სომეხთა ოთხ ქალაქში ცხოვრობს 64,340 სომეხი. მათ შორის წერა-კითხვა იცის მხოლოდ 31,5%<sup>1</sup>ო-მა. ოთხ ქართულ ქალაქში ცხოვრობს 47841 ქართველი, მათ შორის წერა-კითხვა იცის 45%<sup>1</sup>ო-მა. ე. ი. 14%<sup>1</sup>ო-თ მეტმა.“

ავტორის ანგარიშით ყველა სომეხური ჟურნალ-გაზეთები აბეჭდება 17000 ცალი, ე. ი. 490 სულზე

მოდის ერთი ცალი გაზეთისა.  
ჩენის აზრით 17000 ცალი იბეჭდებოდა მხოლოდ ერთობის დროს, ხელა კი მისი ნახევარიც არ იბეჭდებოდა. ამდენივე მკითხველი ჰყავდა ქართულ პრესას ომისა და ერთობის დროს, მაგრამ ეს რიცხვი ამჟამად განახევრდა. ასეთივე ამბავი დაეძარა რუსულსა და სომხურს პრესას. ხელა რომ თითო ცალი სომხურ გაზეთისა ვიანგარიშით 1000 სულზე, შეცდომა არ იქნება. ზემოხსენებულ წერილის ავტორის ერთ ნაცნობს 80 სომხური სოფელი დაუწვლია და მხოლოდ 7 სოფელში აღმოუჩენია გაზეთი და ჟურნალი.

„ცხადია, რომ ამის შემდეგ სიყალბედ და მოტყუებად უნდა ჩაითვალოს ლაპარაკი იმის შესახებ ვითომ \*ბეჭდვითი სიტყვა ვავრცულებული იყო ხალხის ფარაჲ მასსაში.“ უმეცარსა და გუანათლებელ მასსას ათარაფერი ინტერესებს გარდა იმისა, რაც მისი ცხოვრების ინტერესებს შეეხება. ამიტომ მხოლოდ კარგს, ყველასათვის ხელ მისაწდომსა და სახალხო სკოლას შეუძლიან დაიხსნას ხალხი უმეცრებისა და სიბნელის მონობიდან.“

\* \*

„ნოვოე ვრემაში“ ყველაფერი აირ-დაირია: ერთი რეპრესიებს ოხოულობს, მეორე — თვითმპყრობელურ კონსტიტუციას, მესამე მასინურ ორგანიზაციის შემოღებას; მეოთხე კიდევ რეფორმებსა და რეპრესიების შეწყობას. მენშვიკი ერთ და იმავე დროს რევანშსაც თხოულობს და რევოლიუციის გაქუღვთასაც. აიკვ დანარჩენი თანამშრომლები აკლებენ, მაგრამ პრემიერ მინისტრის ძმა სტალიზინი სულ სხვანაირად ფიქრობს:

„შეცდარი აზრია, ვითომ დამარცხებული რევოლიუცია თაღს ბედს შეურიგდებოდა და შურს არ იძიებდ. ვთქვათ რუსეთში დიქტატურა შემოიღეს, მაგრამ ყველას გულში ზინკი ვერაფერ ჩიხედავს. პოლიცია ფრთხილობს, დამნაშავეთა ხუთი წუთის შემდეგ ახრჩობენ, მაგრამ ქალაქში სადაღც ერთი ტერორისტი იმალება. ქალაქს ჩხრეკენ, პოლიცია მის და ახრჩობენ. დანამდილეობით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წესი იმ ქალაქში 20 ახალ ტერორისტს შექმნის. არ შეიძლება აღმანიის შეწყობა, არ შეიძლება მისი სიწყნარის დარღვევა. შეწყობებაზე ის აჯანყებით გაიპაუხებებს. იმ მაგალითიც: იალტის დიქტატორი დუმბაძე პატიოსანი, გამბედავი

და ფიცხი კავასიელია. მან ხულიგანობა მოსპო, მაგრამ ხალხი მის წინააღმდეგ საშინლად ამხედრებულელია. აბა გააჩინეთ მთელ რუსეთში ასეთი მძლავრი დიქტატორები და ნახეთ რა მოხდება. ამბობენ, კადეტები არა ცხრებია. შერე რა უყოთ, ერთში ხომ ვერ მოეხრაკავთ? უნდა მოისპოს ნიადაგი უკმაყოფილებისთვის და არა უკმაყოფილო ხალხი.“

ვენახით რას იტყვის მისი თანამოკალმე მენშვიკი.

\* \*

მიუხედავად დიდის მოლატიკურისა და ეკონომიურის კრიზისისა, რომელსაც ახლა ვანიტდის რუსეთი, პროცესის ბურჟუაზიის ზოდისა და კაპიტალის შეგრძობისა არა თუ არ შენერებულა ტურმე, პირიქით, განვითარებულა და გაძირილებულა კიდევ. ამის შესახებ საინტერესოა წერილია დაბეჭდილი გაზეთ „რუსკ. ვედ.“-ში, რომლის ავტორი, მ. ასანოპოდსკი, სარგებლობს თავის გამოკვლევისათვის შემნახველ კასების ცნობებით. ავტორი სწერს:

„პროლიეტურ და ეკონომიურ ცხოვრების დეზორგანიზაციას უკანასკნელ წლებში თითქმის არ ჰქონია გავლენა კაპიტალისტების მოგროვებაზე. — ომი, რევოლიუცია, შიმშილია — ყველა ეს მოვლენანი, რომელთაც შეამცირეს ქვეყანაში წარმოება, — ევრას გამხდარა ამ დროს პროცესის წინააღმდეგ, რომელსაც სახელად გწოდებდა „პირველ-დაწყებითი კაპიტალისტური მოგროვება კაპიტალიზმის; პირიქით, ამ კრიზისის დროს ეს პროცესი თითქმის გაძლიერებულა კიდევ, ნამეტურ წვრილ კაპიტალების მოგროვების პროცესისი. ეს უტყუარად მტკიცდება იმ ცნობებით, რომელნიც გამოაქვეყნეს სახ. შემნახველ კასებმა, სადაც ერი ინახავს შეგროვოს ფულს. ის ცნობები წვრილ კაპიტალების შეგროვების შესახებ: 1905 წლის 1-ლი იანვრისთვის სულ შემნახველ კასებში იყო მიზარებული 910,6 მილ. მანეთი. 1905 წლის „სარევოლიუცია დღეებში“ შემინებულმა ხალხმა გაიტანა კასებიდან 148.6 მილიონი მანეთი, ე. ი. თითქმის 16 1/2% შენახული ფულია. მაგრამ გავიდა დრო, შიში გაჰქრა და კასები ისევ აიგო მოგროვილ ფულით. ამ მხრით 1906 წელი არა ჩვეულებრივს მოვლენას გვიხატავს: წინაღ შეგროვოსა და მიზა-



რებულ ფულს სულ რვა თვის განმავლობაში 12მ მილიონი მანათი მოებატა. ახლაც ყოველ თვე კას-სებში შედის ორჯელ უფრო მეტი ფული, ვიდრე წინა წლებას თვე და თუ შედიოდა. უმჯველია, ერთის მხრით ასეთი განსაკვირვებელი ზრდა ფულის მიზარებისა სახელმწიფოსათვის აისხნება ცარცვა-გლეჯით და ეკსპრობრაციებით, რომელიც ასე სამწუხაროდ გავრცელდა ბოლო ხანს: ხალხს ემინია ფული ხელს ჭკონდეს ტ საქმეებისთვის ატრიალოს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ამ ზრდისა მინც სხვაა, სახელდობრ თანდათან განვითარება წვრილ საქა-ლაქო და სასოფლო ბურჟუაზიისა“.

ბოლოს ავტორი დასძენს, რომ რუსეთში მალე ისევ აღყვავდება მრეწველობა, რადგან „პირველ-დაწყებით კაპიტალების ზრდა“ ერთობ დიდი არისო.

\* \*  
(25 აგვისტოს) მოსკოვში კვლავ იწყება ერობის წარმომადგენელთა კრება. ასეთი კრება, ორი თვის წინად, ივნისში, კიდევაც ჭკონდათ მე-მარჯვენე საერობო მოღვაწეთ და გაზეთება გაკვირ-ვებულნი არიან რით დაღსკირდათ ასე მალე მეორე კრების მოწყვეტა. “რუსს. ვედ.-ს ვერც-კი აუხს-ნიათ ასეთი გამოცანა:

„აღდგომობრივ თვითმართველობის პროექტის განხორციელებისათვის არ აინტერესებს ამ მოღვა-წეთ, რაც დაამტკიცეს კიდევ წარსულ კრებაზე. სათათბირო ამ ყამად არ მოქმედობს და, მაშასადამე პროტესტის გამოცხადება საჭირო იღარაა. შაშ, რისთვის იკრებებიან მემარჯვენე საერობო მოღვა-წენი, ვერ მიმგხდარაყართ“...

თვის მხრით გაზეთი „რქ“ ი ცდილობს გა-მოცანის ახსნას და ამბობს:

„გვგონებთ, საქმე სრულიად უბრალოდ აისხნება. მემარჯვენე საერობო მოღვაწეებმა და თავად-აზნა-ურებმა ერთობ შეარცხინეს თავი ივნისის კრებაზე: მეტის-მეტი რეტროგრადობა გამოიჩინეს და რა-კი არჩევნები მოახლოვდა და „ქეშმარიტ რუსების“ გამარჯვების იმედი ყველას დაეკარგა, ერიბის დღევანდელ წარმომადგენელთ და თავად-აზნაურობას მსურთ ცოტათი მინც თავი გაილაშხონ: მარცხნივ მიიწვიან, რათა არჩევნების წინ საზოგადოების ერთის ნაწილის გული მანც მოიგონ“...

კიდებებს მინც იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს თავად-აზნაურობის უმეტესობა მათ მხარეზე გადავა.

სოღმარა

შეტკრებრავი. შუვი ჭირის წინააღმდეგ მებრ-ძოლი კომისია აცხადებს:

13 აგვისტოს სამარაში ავად გახდა 8 კაცი, გარდაიცვალა 4. სულ სენის გაჟენიდან ავად გახ-და 210 კაცი, გარდაიცვალა 96. სამარაში დაბა-ნაკებულ ჯარში ორი კაცი გახდა ხოლერით ავად.

ნიკოლაევის მაზრაში ავად გახდა 7 კაცი აქე-დან ერთი გარდაიცვალა.

სტავროპოლის მაზრაში, სოფ. მეღვეცესში 2 კაცი გახდა ხელახლა ავად.

ნოვოუზენის მაზრაში ავად გახდა 2 კაცი. ბუზულუქისაში სოფ. უტელუკში—ნ კაცი, 2 გარ-დაიცვალა.

ნეჩი ნოვგოროდში 13 აგვისტოს ოთხი კა-ცი გახდა ავად და ოთხივე გარდაიცვალა. ბალახ-ნინის მაზრის ვასილიევსკის სლობოდაში ავად გახდა ერთი კაცი.

14 აგვისტოს სიმბირსკში ცარიცინიდან მო-სულ გემიდან ერთი ხოლერიანი გადმოიყვანდა. სიზრანის მაზრაში 3 კაცი გახა ავად.

სარატოვსა და კამინში ავად გახდა ორი. ცარიცინში 13 და 14 აგვისტოს ავად გახდა 10 კაცი ამ დღეებშივე გემიდან სამი მიცვალეზუ-ლი ჩამოსვენეს, ორი ხოლერისაგან იყო გარდა-ცველილი.

ასტრახანში 14 აგვისტოს ავად გახდა 59 კაცი; 20 კაცი გარდაიცვალა. სულ სენის დაწყე-ბიდან აეთ გახდა 413 კაცი; გარდაიცვალა 143 კაცი.

15 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 74 კაცი, გარდაიცვალა 43. 16 აგვისტოს ავად გახდა 116. გარდაიცვალა 67.

ნეჩი-ნოვგოროდში 16 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 5.

სიზრანში 15 აგვისტოს გარდაიცვალა ერთი. სიზრანის მაზრის სოფ. შელენმეტში 12 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3.

პეჩორის მაზრაში გარდაიცვალა 1. ვეტლუვასა, იურეველა და ცარიცინში გარ-დაიცვალა თითო კაცი.

16 აგვისტოს სამარაში ავად გახდა 5, გარდა-იცვალა 4. ნიკოლაევის მაზრასა და ორ სოფელში ავად გახდა ორი.



სიმბირსკში 16 ავგისტოს ასტრახანიდან მოსულ გემიდან ჩამოიყენეს ორი ხოლგრიო აუღმყოფი, სიზრანის მაზრის სოფ. პენორკაში ავღლ ვახდა 9, გარდაიცვალა 2.

სარატოვში გემიდან ჩამოიყენეს 1 ხოლგრიანი, ცარიცინში ავღლ ვახდა 7, ხუთიც გემიდან ჩამოიყენეს. ასტრახანის გუბერნიაში 17 ავგისტოს ავღლ ვახდა 118, გარდაიცვალა 62 კაცი.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა ბუჯურუსლანის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მღვდელ-მონაზანი პიმენი

\* \* როგორც იწერებოდენ, ამ ხანებში პეტერბურგიდან გამოგზავნილი ფული 100,000 მანეთი ეზაში დიკარგა. ისიც აცნობეს მეკთხველთ, რომ ამ საქმის გამოსაძიებლად თფილისში ჩამოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი ქარაოვი და საგანგებო საქმეთა მოხელე სტროგანოვი, რომელნიც უკანვე დაბრუნდნენ. ფული ვერ აღმოაჩინეს, სამაგიეროდ სამსახურიდან დაითხოვეს და უმოკმეულობისთვის სამართალში მისცეს ფოსტის ამოკრვე განყოფილების უფროსი დებრინი და მისი თანაშემწე კრიკი.

\* \* კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ახლად დანიშნული ბ. რუდოლოფი ავღრ წინაზე ჩამოვიდა თფილისში და უკვე შეუღდა თანამდებობის აღსრულებას.

\* \* რაქქია სწასქეთში. 24 ივლისს, როგორც გვატყობინებენ, სპარსეთის ჯულფში, სადაც მთელი ზაფხული პარასკეობით მახლობელ სოფლებიდან მილიცია თავს იყრიდა, რომ ეწვენებინა თვისი სამხედრო უნარი ჯულფის ბაზრისათვის, ჩამოვიდა ჯარით აქიმხანი. რამდენისამე დღის განმავლობაში იგი აქედან ძრიელ დამსჯელ რაზმებს ჰგზავნიდა სოფლებში. 4 ავგისტოს ჯულფაში ჩამორკეს 5 ათასამდე მსხვილი საქონელი, რომელიც სოფლებებისთვის წაერთმით რაზმებს. საქონელი ქარვასლებში დაამწყვდიეს. სოფლებიც დამარცხეს. ერთი სითი, რომელმაც დამოქნის მოხელეს რეკოლეც-

რის სროლა გაუბედა ინჯუმის შეურაცხყოფისათვის და ააცდინა, დაუტყვევებია აქიმ-ხანს და იმასთან ერთად სხვა სოფელნიც. რეაქციის გამძლიერებას აღებრეჯანში მოჰყვა გუბერნატორების ახლად დანიშვნა, რომელთაც მეტი უფლებები ექნებოთ, ვიდრე წინად ჰქონდათ. თავრიზიდან განკარგულებას ელის ხალხი. ამ პირველმა იერიშმა რეაქციისამ ხალხი შეაშინა, თუ ხელი შეუბრუნა რეაქციას, უთუოდ დიდი სისხლის ღვრა დაიწყებოდა.

\* \* 10 ავგისტოს პილიციის მე-7 აწილიში იმ დროს, როცა ნიკოლოზის სახელობის ქალაქის სასწავლებლის ინსპექტორი პეტრე კაზანცევი სამსწავლებლო ოთახში იყო, ვილაც უცნობებმა ორჯერ რევოლვერი ესროლეს და დასტურეს გვერდსა და ფერდში, პილიციის გამოძიებით, ინსპექტორი დასტურეს იმავე სასწავლებლის მოსწავლეებმა — გეკილოვა და კირიაკოვა, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

\* \* მოგვივიდა საქმეწვილო ჯურნალის „ჯეჯილის“ მე-8 ნომერი. შინაარსი: „უკვიანი გულწითელა“ (რუსულიდან); „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“, ანიკოსი; „ბროლია“, გადმოკითხული ტასოსი; „რა მშვენიერებაა!“ ფრანგულიდან შეტრასი; „ქალბატონი თეოფილან“, მოთხრო. თეოფილან გოტიესი (ფრანგულიდან) ელ. წერეთლისი; „ორი ძმა“, ხალხური ზღაპარი; „როგორ ზრდიან პირუტყვეები თავიანთ შვილებს. დათვები“, ა. ფრევსი; „წვრილმანი: ვასართობი, ანდაზები, გამოცანები, შარადა, რებუსი; „ორი ყორანი შოტლანდიის ბალოდა“, იასმანისა; „განთიადი ახალ ცხოვრებისა“, გაგარძელევა, ნატალია კასარისა; „ცრმელპიბით აღესძლი სურა“, ბეშტიანის ზიპაპარი (გერმანულიდან) ალ. ყუმისთავილისი; „ღარიბების მეგობრები“, (გაგარძელევი) ივ. გომართელიისა; „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან“ გაგარძელევა ს. გორგაძისი; „უღულო ბავშვი“, მოთხრობა მონგომერისა, თარგ. ელ. წერეთლისი; „მსოფლიო ისტორია“, ერ. ლავისისა. (ფრანგულიდან) ალ. სარაჯიშვილისა.

\* \* მოგვივიდა ი. გოგებაშვილის „ღვდა-ენა“, მეორე ნაწილი, ახალი გამოცემა—ოცდა მეორე. ავტორს ეს გამოცემა გაუღიღებია და ჩაუმატებია სამი ახალი განყოფილება: 1. სამოსწავლო ნიეთები, მოთხრობანი მათზე და ლექსები; 2. ბუნების



სხვა და სხვა მოვლენა; შ. ქვეყნის თავდადებულნი ქართველნი. სხვა განყოფილებაშიაც ჩაუმატებია ავტორის ახალი მოთხრობები და ლექსები. საზოგადოდ, წიგნს მიემატა ორმოცი გვერდი, რის გამო წიგნი ესლა შეიცავს 280 გვერდს. ფასი კი წინანდელია—ყლით ორი აბაზი. წიგნი სუფთად არის გამოცემული.

\* \* \* თუ რა გავლენა იქონია ახალმა საარჩევნო კანონმა ამომრჩეველთა რიცხვის შეცვლაზე, ეს შედგე საინტერესო ციფრებიდან სჩანს. პეტერგზში შარშან იყო 126,389 ამომრჩეველი, წრეულს კი მხოლოდ 87;881-ია (დანაკლისი 30%<sup>0</sup>), სამარის გუბერნიის ქალაქებში წრეულს შარშანდელთან შედარებით დააკლა 48%<sup>0</sup>, მსხვილ მემამულეთა კურიაში 33%<sup>0</sup> წვრილ მემამულეთა კურიაში 66%<sup>0</sup> სამარის გუბერნიას ნიკოლაევის მაზრაში წვრილ მემამულეთა კურიაში შარშან ირიცხებოდა 4863 ამომრჩეველი, წრეულს კი მხოლოდ 602 ირიცხება, ე. ი. რვაჯერ ნაკლები. ასევეა დანარჩენ გუბერნიებშიაც.

\* \* \* რუსეთის ხაზინამ წრეულს, 6 თვის განმავლობაში გაყიდა 39,887,324 ვებრო არაყი, სულ 324,049,479 მანეთისა. მის აქეთ, რაც არაყზე მონაპოვია შემოიღეს, რუსეთის ხაზინის შემოსავლის წყარო არაყი გახდა.

\* \* \* მანჯურის საზღვარზე დააპატიმრეს ვილაც ანენკოვი, რომელსაც უპოვეს 4 მილიონი ფრანკის ფული და ფსიანი ქალადღები. ანენკოვი ჯერ ხარბინში ჩასულა, დაუფლია იქაურა ბიუროკრატები და უთქვამს, მინისტრის სტოლიპინის მიღიანი ვარ, დიდი საქმეები მაქვს მონდობილი და დახმარება გამიწიეთო. ანენკოვი მშვენივრად ლაპარაკობს ვერაბიულ ენებზე და ეტყობა გამოცდილი კაცი უნდა იყოს, მაგრამ ვინ არის და სად იშოვა ამოდენა ფული, ჯერაც ვერ გამოუცვნიათ. ცხადია მხოლოდ ის, რომ იგი ქურდია.

\* \* \* ოდესაში პოლიცია ვარს შემორტყმია ერთ სახლს, სადაც ხუთი ანარქისტი ეგულებოდა. ანარქისტები არ დანებებინან და სროლა დაუწყიათ. დაუჭრიათ ხუთი კაზაკი და მოუკლავთ უჩიადნიკი. სროლა მთელ დამეს იყო. დღითი ანარქისტები დანებდნენ. ერთი მოკლეს ორი გაიპარა.

\* \* \* ზაქაში აღმოაჩინეს ყუმიპარების საწყობი. როგორც ესლა გაზეთები გადმოგვეყვემენ, საწყობში

უნახავთ სულ ოც-და-ერთი ყუმბარა, სამი ფული ვერცხლის წყალი, 53 პატრუქი და ბევრი რან სხვა. დააპატიმრეს ჯავათ-ოღლი და დედა სახლის პატრონის ასუნდოვისა.

\* \* \* ვილაც უქნობმა რამდენიმე დღის წინანდტვ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან მიიღო 1006 მანეთი. 13 აგვისტოს იმავე ფულის მისაღებად მივილა სხვა კაცი. აღმოჩნდა, რომ პირველს ყალბის პაპორტით მიუღია ეს ფული.

\* \* \* 12 აგვისტოს ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს გენერალ ნეიგემაურს შემდეგი დეპეშეა გაუგზავნია გზათა მინისტრისათვის: „ამიერკავკასიის რკინის გზაზე ბოროტ-მოქმედებანი არ ისპობა, თუცა მე და ჩემმა მოადგილემ მრავალი სხვა და სხვა ზომა მივიღეთ. პირაქით, ესლა უფრო ვახშირდა ბოროტ-მოქმედება უჯარის სადღურზე 1 აგვისტოს ღამეს გაპარცვეს ვოსტა-ტელეგრაფის კანტორა; 5 აგვისტოს ყარსის გზაზე მატარებლებში დაეჯახნენ ერთმანეთს; 6 აგვისტოს ყუბრილაში დაეცნენ მატარებელს;\*) 8 აგვისტოს ნავთლუხის სადღურზე მატარებელი გადაპარდა და 11 აგვისტოს ვაპარცვეს კასირი. დღევანდლამდე მიღებულმა ზომებმა ნაყოფი ვერ გამოიღო და ბოროტ-მოქმედებანი ვერ მოსპო, ამიტომ გთხოვთ ნება დამართოთ, განკახორციელოთ გზის სამმართველოს მიერ შემუშავებული შემდეგი ზომები: 1. სასწელები\* დაქუქნით და სხვა სავაჭროები, რომელიც კი არ არის რკინის გზისაგან იჯარით აღებული, გადატანილ იქმნან ამ ადგილიდან, რომელიც რკინის გზის რაიონს ეკუთვნის; 2. ამავე რაიონში ცხოვრება ავკრძალოს ყველას, ვინც რკინის გზის ადენტებს და მათ ოჯახოსას არ ეკუთვნის; 3. გაიდებულ იქმნას შეტრტი ღიანდაგის დაქარავებულ დამცველებისა და შეიარაღებულ იქმნან ისინი სასროლ იარაღით; 4. ის ვაგონები, რომლითაც მიემგზავრებიან კასირები, მერტელეები ფულის გადამხდელნი და სხვანი, მომხმულ იქმნან უწყველად მატარებლის ბოლოში, ამასთან წინა და უკანა ვაგონებში უნდა დარაჯები ისხდ-

\*) ყუბრილაში არავითარი დაცემა მატარებელზე არ მომხდარა, უბრალო პეტარდა დაედვა რელსზე ვილაცს, რაც ხშირად ხდება ხოლმე...



ნენ; 5. ყველა აგენტმა სასტიკად უნდა თვალყუ-  
რი აღევნონ იმ პირთა მოქმედებას, რომელნიც  
რკინის გზის მოსამსახურეთა რიცხვს არ ეკუთვნიან.“

\* \* 10 აგვისტოს პოლიციას გაუჩნდა კია  
აღვისი უნივერსიტეტის საქმეში ფაქულტეტი.  
უპოკაიო მხოლოდ ბეჭედი ქართველ სტუდენტთა  
სამეცნიერო და ფორგრაფიული სურათის სტუ-  
დენტთა ცენტრალურ ორგანოსი. იმავე დღეს ბრ-  
ძანება მოასვლია რექტორს ზანკევიჩს, რექტორობა  
პროფესორს პეტრიაშვილს ჩააბარეთო. მის თანა-  
შემწეს უნივერსიტეტის საბჭო აირჩევს.

\* \* განსაკუთრებულმა კომისიამ შინაგან საქ-  
მეთა მინისტრის თანაშემწის მაკაროვის თავმჯდომე-  
რობით მოისმინა ფრიშის მიერ შედგენილი პრო-  
ექტი სეკლემფიჯო პოლიციის რეორგანიზაციის  
შესახებ როგორც ვიცით, ამჟამად არსებობს რამდენ-  
იმე ნაირი პოლიცია, რომელსაც განაგებს სხვა-და-  
სხვა სამინისტრო პროექტის ავტორის აზრით, უნდა  
დაწყდეს მხოლოდ ერთგვარი პოლიცია, რომელსაც  
ერთი სამინისტრო უნდა განაგებდესო. ამბობენ,  
მთავრობა ამ პროექტს მოიწონებს და სახ სათათბი-  
როში შეიტანოსო.

\* \* დღეს დილის გაზეთებში ცნობა იყო ვი-  
თომც ილია გიორგის-მე ჭაჭაჭაძემ მოეჭაფათ სა-  
გურამოდან მიმავალი თფილისში და მისი ცოლი კი  
შვიმედ დაეკრასთ, მაგრამ რამდენად ნამდვილია ეს  
ამბავი არ ვიცით.

\* \* ქუთაისის ქართულ გიმნაზიის პედაგოგი-  
ურ საბჭოს ნიუწეგეა ორი ახალი მასწავლებელი:  
ქართულის ენისა უფროს კლასებში სიმონ ქვარია  
ნი, ხოლო ფრანგულსა—პეტრე ყვიანი.

სახლის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს შვილი ვლადი-  
მერ ნაუმოვი 25 წლისა, გაეცნო ხელმწიფის დამ-  
ცველ რაზმის ერთ კაზაკს. პირველ დღიდანვე ნა-  
უმოვმა ლაპარაკი ჩამოუგდო კაზაკს რუსეთის მო-  
უწყებლობაზე. ამხედრებდა მას არსებულ წყობი-  
ლების წინააღმდეგ, ურჩევდა ამხანაგებისთვის თვა-  
ლები აებოდა და მოეკლა სახალხის კომენდანტი  
გენერალი ტრეპოვი. კაზაკმა ეს ამბავი უფროსებს  
შეატყობინა. კაზაკს ნაბრძანები ჰქონდა ნაუმოვს  
არ მორიდებოდა, რათა ამ რიგად გაეგოთ ნაუმო-  
ვის აზრი. ნაუმოვი მოსკოვში წაიღია და 1907 წ.  
იანვარში ისევე უკან დაბრუნდა და პარლამენ-  
ტის ხარა კაზაკს, რომ მას ეკისრნა ხელმწიფის მოკლ-  
ლა, როდგან შენ ხშირად ახლო ხარ მასთანო,  
ან თაღე ესროლო და ან ხელით აჩეხვია. ამასთან  
ნაუმოვი აღიქმებდა კაზაკის თავმოყვარეობას და  
არწმუნებდა, რომ ის სამშობლოს მსნენდი ვახდენ-  
ბა, მისი სახელი ისტორიაში აიწერება და სოც.-  
რევოლიუც. პარტია მას ხელაღვე გმირად გამო-  
აცხადებს. კაზაკმა ცივი ჭარი განაცხადა ამაზე,  
ნაუმოვმა სთხოვა რევოლ. პარტიისთვის საჭირო  
ცნობების მოწოდებით დასაბრება გაეწია და გა-  
მოკეთება იმის შესახებ, თუ როდის დასვირნობს  
ხოლომე ხელმწიფე ბაბალოვის ბაღში, როგორ  
არის დაზანაკებული მცველთა რაზმი და როგორ  
შეიძლება ბაღში შეპარვო. კაზაკმა დაუხასხელი  
ის ადგილი ბაღისა; სადაც ხელმწიფე ხშირად და-  
სვირნოდა. ნაუმოვმა სთხოვა ბაღის გეგმის დახატვა  
და შესწავლა იმ ბაღის ყველა ბილიკებისა, რათა  
შემდეგში უფრო დაწვრილებიათ შეედგინა გეგმა.  
ლაპარაკის დროს კაზაკმა ყურადღება მიაქცია  
როიასს. ნაუმოვმა უთხრა. გალობას ვსწავლობ  
და კარას მგალობელთა ნუნდში ვაპირებ შესე-  
ლასათო. ვამოთხოვებისს ნაუმოვმა უთხრა. სხვებ-  
საც გაავცნობ, მხოლოდ მათთან არაფერი არ და-  
მალავო. ორივენი შეთანხმდნენ: ნაუმოვს წერი-  
ლით უნდა შეეტყობინებინა კაზაკისთვის დრო და  
ადგილი სხვა ამხანაგების გასაცნობად. ნაუმოვმა  
ასეთი პარილი მისცა კაზაკს: ოთახში შესვლის  
დროს მას უნდა ეთქვა. „შე ვლადიმერ აღექსან-  
დრეს-ქისგან ვარ გამოგზავნილი; შემდეგ უნდა  
ეკითხნა: „აქ არის ოღუა აღექსანდრეს ასული?“  
პასუხად მიიღებდა: „ოღუა მე ვარ.“ მასთან კაზაკს  
გულ ახდილად უნდა დაეწყო ლაპარაკი. ბინის

**შეთაჩულებად ხელნაწილის წინააღმდეგ.**

ფიციდალურა განცხადება.

პეტერბურგის საოლქო-სამხედრო სასამართ-  
ლომ 7-დან 16 აგვისტომდე ვაპრია საქმე შესახებ  
შეთაჩულებისა წინააღმდეგ ხელმწიფე იმპერატო-  
რისა, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის  
ძისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტო-  
ლინისა. გამოცემიდან აღმოჩნდა, რომ ეს საქმე  
ასე ყოფილა მოწყობილი:

1906 წ. ზაფხულში, ახალ პეტერბურგში სა-



საპოეზოდ ნაუმოვმა კახაკს წმინდა ვიზიტის ბარათი მისცა და უთხრა, რომ იმ ოთახის კარებზე ასეთივე ბარათი ექნება მიკრულიო.

ერთი კვირის შემდეგ კახაკმა ასეთი ბარათი მიიღო: „ჩემო ძვირფასო კოლა! ესლა მე ვცხოვრობ სადოვია ქუჩაზე, სხელი № 80, ბინა № 3, როცა შეიძლება, ჩემთან მოდი, ოთხიდან ექვსის ნახევრამდე. დაიქარე, შენი მოსიყვარულე ოლა.“ აღმოჩნდა, რომ კახაკი უნდა მისულიყო აღექსანდრეს ლიცეის აღმზრდელ კონსტ. ემეს ბინაზე, რომელიც კახაკმა აღვილად იპოვა კარებზე გაკრულ ბარათით. მასზე ეწერა: „კონსტ. გუსტ. და ანტონია შაგენ. ემე.“ ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ბარათი კახაკს ანტონინა ემემ მისწერა.

კახაკმა პაროლი სთქვა. სახლში იგი თითონ ემემ შეუშვა. კახაკმა იკითხა: „აქ არის ოლა? აღექსანდრეს ასული?“ მას მიეგება ქალბატონი ანნა პიგეტი, რომელიც პეტერბურგში წინა ზაპინიანცის პასპორტით ცხოვრობდა.

ლაპარაკში პიგეტმა უთხრა კახაკს, შენ ჩვენთვის ძალიან საჭირო ხარ, რადგინ სასახლესთან ცხოვრობ და საჭირო ცნობებს მოგვეწვდიო. ელაპარაკებოდა შესახებ პეროვსკის ქალისა ღა მის მწიგნობარსა, მაგრამ დაწვრილებით თავისი გეგმა კახაკს არ უამბო, რადგან ვიდაცას თოვდა. კახაკმა არ მოიკადა, დაუნიშნა სხვა დრო და წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კახაკი ხელმეორედ შევიდა იმავე სახლში. მას პიგეტი და ბინის პატრონი დასცდნენ. მარტო რომ დაჩნდნენ, პიგეტმა ისევ დაიწყო ლაპარაკი, საჭიროა ილი მთავრის მოკვლაო. მოვიდა ნაუმოვი და სთქვა, ესლავი მოვა კაპიტანიო (ამლომდა, რომ „კაპიტანს“ ეძახდნენ სამსახურიდან გასულ ფლოტის ლეიტენანტს ნიკიტენკოს, ან მის მოადგილეს); ისიც განაცხადა, თუ არაინ მოვიდა, კახაკმა გულახდილად უნდა ილაპარაკოს პიგეტთანაო. მალე მოვიდა კაპიტანის მოადგილე, ვინმე პურკინი, რომელმაც სასამართლოში განაცხადა, რომ ის პეტერბურგის უნივერსიტეტის ნასტუდენტარია, გვარად სინიავესი, რომ ის არხანგელის გუბერნიაში იყო ვალსახლებული, მაგრამ იქიდან გამოიპარა. ახალმა ნაცნობმა კახაკს დაწვრილებით გამოჰკითხა, შეუღლიან თუ არა უკუხო კაცს კახაკის ტანისამოსი ჩაიცვას და სასახლეში შევიდესო, სად შეიძლება ასეთი ტანისამოსის

შეკვთა და რომელ შენობიდან უფრო მოხერხდება იმ ოთახის აფეთქება, სადაც ხელმწიფე იმყოფებო. მისი თხოვნით იქვე დახატეს გეგმა ცარსკოე სელოს სასახლისა და იმ კარებისა, საიდანაც შეიძლებოდა სასახლეში შეპარვა.

მესამედ კახაკი მივიდა სინიავესკის მარცხენა ბინაზე, ნიკოლ. ქუჩა სახლი № 14, ბინა № 33, სადაც ცხოვრობდა კურსისტა ვერა პეტროვა. პაროლი ასეთი იყო: „შენ არის ვერა აღექსანდრეს ასული?“ კახაკი მიეცა და ბინაზე. პედკოვის შინ არ დასვდა, მაგრამ მას ეთქვა მოსამსახურისთვის. რომ ესა და ეს კაცი უნდა მოვიდესო. ერთი საათის შემდეგ მოვიდა სინიავესკი, რომელმაც სთქვა: უნდა მოვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაიარებათ ცარსკოე სელოში მინისტრი სტოლიცხინი და დიდი მთავარი ნიკოლოაზ ნიკოლოაზის ძეო, ვადსწყვიტეს, რომ კახაკს მისთვის უნდა ეგზავნა დეპეშები. ასეთი შინაარსის დეპეშა—„მოლდით, ავად გავხდი“—ნიშნავდა დროს დილის 10 საათიდან შუადღემდის, „ავად გავხდი“—ნიშნავდა საღამოს 5—10 საათამდე; „სტუფანე და ბიძა“—ნიშნავდა დიდ მთავარს; „ივანე და მამა“—ნიშნავდა სტოლიაჩანს. ამ როგორ დეპეშა „მოლდით, ივანე ავად გახდა“ ნიშნავდა იმას, რომ მინისტრი მიდიოდა სალაოას 6—10 საათამდე. ამ სიტყვების დასახლემებლად სინიავესკიმ ორ ფურცელზე დასწერა ეს სიტყვები, ერთი თვითონ დაიტოვა და ერთი კახაკს მისცა. დეპეშის ადრესი ასეთი იყო: კირიჩანს ქუჩა, 26, ბინა 6, ფეოლოსი ნიკიტენკოს. ეს ბინა ეკუთვნოდა ნაფიც ვეჟის ფეოლოსიეს.

13 მარტს კახაკი უკანასკნელად შეხვდა ამ ხალხს. როცა კახაკი პეტერბურგიდან ცარსკოე სელოში გაბრუნდა, ყველაფერი შეატყობინა მთავრობას, თავი დაანება მათთან მოლაპარაკებას და რაც მასლა ჰქონდა—ორი წერალი, ვიზიტის ბარათი და ფურცელი, სადაც დეპეშების სიტყვები იყო ჩაწერილი, გადასცა იქ, სადაც ჯერ არს. იმ დღიდან, როცა კახაკმა ნაუმოვი ეცნო, პოლიციამ თვალყურის დევნა დაიწყო ვივლას, ვინაც ნაუმოვთან მოლაპარაკება ან ნაცნობობა ჰქონდა, აღმოჩნდა, რომ ნაუმოვს მოლაპარაკება ჰქონდა ვინმე სოკო-რეგოლ. შტიფტართან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის გრადნაჩანოვსკის ფონოაუნისის მოკვლაში და რომელიც შემ



დგე ჩამოხრჩობილ იქმნა. თვალყურს აღედგებდნენ აგრეთვე გროსნსკის, რომელიც ჩამოხრჩობილ იქმნა იმავე საქმეში მონაწილეობის მიღებისთვის, და „ამხანაგ ირანისა.“ აღმოჩნდა, რომ ირინა თებერვალში დასახლდა სამსახურიდან ვასულ ლეიტენანტ ნიკიტენკოსთან, იაროსლავის ქუჩაზე, სახლში № 1. იმათან სცხოვრობდა ერთი ქალი, რომელიც ყველას მოსამსახურედ აცნობდა თავს და ამბობდა — გლეხის ქალი დარუშიჩევა ვარო, ნამდვალადეი აღმოჩნდა ინტელიგენტი ქალი მარიამ პროკოფევა — დეიძლი და იმ პროკოფევისა, რომელიც დიდილუმა პეტერბურგში 1906 წელს „გრანდოტელის“ სასტუმროში, როდესაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. პროკოფევა კარგი ნაცნობი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის პლეკეს მკვლელის საზონოვისა, რომელთანაც სპატიროში ხშირად დადიოდა დანიშნულის სახელით. ნიკიტენკოსა და ირინას ზრთფერობა ჰქონდათ ნაშუიგეთა, სენიაევსისა, პიეტუსა და კოლოკოვსკისთან, რომელიც სამართალში იქნენ მიცემულნი და რომელთაც ჰპარლდებოდათ ს.-რევოლიუციონერთა მებრძოლ ორგანიზაციის წევრობა: ჟრთფერობა ჰქონდათ აგრეთვე ლოუცკევიჩისა, ბიბერგალის ქალსა სტახოვისსა, სპერანსკისა და ბულგაკოვსკისთან. ეს უკანასკნელი სასამართლოში გამოიტყდა, რომ იგი ოდესის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი რევალსკია. ოდესმა იგი სამართალში ყოფილა მიცემული, მაგრამ დამალულა. გამოირკვა, რომ ნიკიტენკო, ნაუმოვა, კოლოსოვსკი, სენიაევსკი. პიეტი და სპერანსკი ხშირად ხედებოდნენ სხვებს და მოლაპარაკება ჰქონდათ. იკრიბებოდნენ ხან და ხან ნაფიც ვეჭლის ფეოდალისიგვის ბინაზე, ნაფიც ვეჭლის ტარასოვის და იმის ცოლის ბინაზე, ნაფიც ვეჭლის ჩიბაროვის ბინაზე და აგრეთვე ბრუსოვის ბინაზე. როგალსკის შესახებ გამოირკვა ისიც, რომ იგი სეკსატოპოლში წვიდა, რასაც კავშირი ჰქონდა სოც.-რევოლიუციონერების ტაერიდის კომიტეტის განზრახვას. თან—მოეწყო მკვლელობა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა, რომელსაც ყირიმში 16 აპრილს მიაღვლიდნენ.

ყველა ზემოდ დასახლებულნი დამალულ ირინესა და სპერანსკის გარდა, 31 მარტიდან დაწყებული სხვა და სხვა დროს დააპატიმრეს. ზოგიერთების დანახრეკის დროს თვალსაჩინო რამ აღმო-

აჩინეს. ნიკიტენკოს აღმოაჩნდა რამდენიმე ყაღბი პასპორტი, კონსპირატიული მიწერმოწერა, ქაღალდი, ისაღაც აღნიშნული იყო ის გზა, რომლითაც შეიძლება ცარსკოე სელოს სასახლესა და ხელმწიფის კაბინეტში შესვლა, ორი წერილი; ერთში ავტორი, ვილაც ვ. კ. სწერდა: „(სიტყვა „შორის“ ნიშნავდა დიდ მთავარს, რომლის მოკვლაც უნდოდათ 1905 წელს 13 თებერვალს, როდესაც ცარსკოე სელოში რკინის გზის ლიანდაგზე ასაფეთქებელი ნივთიერება დასდეს) და ჰყოთხავდა ნიკიტენკოს, უნდა თუ არა ის ტანისამოსი, რომელიც მან ნიკიტენკოსთვის მოამზადა. ნახეს იქ აგრეთვე ორი დებევა ცარსკოე სელოდან, გაგზავნილი 30 მარტს ფეოდოსიევის სახელზე, ნიკიტენკოსთვის გადასაცემად. დებევაში ნათქვამია: ერთში—„მოდიით. ივანე ავად გახდა.“ ფედოსიევეს უპოვნეს დიდძალი რევოლიუციონერული ლიტერატურა, უმთავრესად ჯარში გასავრცელებელი, დიდი მიწერმოწერა კონსპირატის სახმედრო აჯანყების ორგანიზაციის შესახებ. ამ მიწერ-მოწერაში აღნიშნულია ის მიზნებიც, რამაც აჯანყებას ხელი შეუშალა, იქვე ნახეს სია სახმედრო გემების კაბანდებისა. სიაში მოკლედ დახასიათებულნი იყვნენ მებრძოლნი—რამდენად აბიან ისინ რევოლიუციონი გატაცებულნი. ამის შესახებ ყანდარმათა გამგეობამ განსაკუთრებული გამოძიება დაიწყო და ფედოსიევის ცოლი პასუხის გებაში მისცა. პეკლიოვის უპოვნეს უბის წიგნაკი შიფრით, ადრესებთა, ადრე აღნიშნულია, სხვათა შორის, ადრესები ჩიბაროვისა, ტარასოვის და ბრუსოვის; ამავე წიგნაკში შენიშვნა იმ ვალის შესახებ, რომელიც ჰმართებოდათ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის კასისა. ოლგა ტარასოვის უპოვნეს საკუთარი ხელით ნაწერი ბართი, ისაღაც აღნიშნულია რუსეთის რომელიც კუთხეში გაიგზავნა სარევოლიუციონერ ლიტერატურა. უპოვნეს აგრეთვე წერილი, რომელშიაც ერთ წერილში უცნობი ავტორი სწერს: მე და ჩემი ამხანაგებმა მხოლოდ ტარასოვისა და ეკატერინა ოლესქანდრას ასულში ვიპოვეთ ნამდვილი ს.-რევოლიუციონერები, პარტიის ხალხი და თათქმის ენტუზისტებიო. ეკატერინა ოლესქანდრეს ასული ბიბერგალს უპოვეს ყაღბი პასპორტი სტახოვიჩის სახელზე (ამ პასპორტით თითონა ცხოვრობდა) პასპორტები მელანი და ანტონ პოლტაკების სახელზე,



ს.რევოლ.—თა პარტიის მიერ გაცემულ „სალ-  
დატსკაია ვაგეტა“- მე 7 ნომერის 480 ცალი, ბევ-  
რი ქალაქ გარეთელი ადრესი დაწერილი ადესის-  
დან, რომლითაც სთხოვდნენ ეცნობებინა ადრესი  
იმ სამხედრო მოსამართლისა, რომელმაც აფიცრის  
მკვლელი ორი მატროსა გაამართლა.

ყველაზე უფრო საყურადღებო ნაუმოგვის ჩვენ-  
ება იყო. როგორც თითონ განცხადა 1906 წ.  
ნოემბერში სატენოლოგო ინსტიტუტის სასაღი-  
ლოში გაუცენია შტიფტარი. როცა შტიფტარს  
შეუტყვია, რომ ნაუმოგი ცუდათ დადის და ცხოვ-  
რების სახსარი არა აქვსო, მიუწვევია ზვირინსკის  
ქუჩაში, სადაც დანიშნულ დროს ამხანაგები შეი-  
კრიბებიანო ნაუმოგი მართლაც მისულა და უნა-  
ხას იქ ბევრი ხალხი, რომელნიც თითო თითოდ  
შემოდოდნენ და მშათამ მოლაპარაკების შემდეგ,  
ვისთანაც საქმე ჰქონდა, ისევ მიდიოდნენო. ნაუ-  
მოგი მიხედვრიდა, რომ ეს ბინა იყო სარევოლიუ-  
ციო ორგანიზაციისა. საწინდაწინო გამოძიების  
დროს ნაუმოგმა სთქვა, რომ ბინა აღექსანდრე  
ზავადსკის ეკუთვნოდაო. მაგრამ სასამართლოში  
გდასთქვა, არ ვიცი, ვისი ბინა იყო. ამ სახლოში  
მას შეხვედრა შტიფტარა და ნიკიტენკო, რ-  
ომელსაც კაპიტანს ეძახდნენ. ნიკიტენკოს ულოქვამს,  
როგორც მეზღაურად ნამყოფს, ძლიერ მაინტე-  
რესებს ფლოტში მღელვარების საქმეო და როცა  
ნაუმოგს შეუნიშნავს, რომ მღელვარებამ მისი უდი-  
დებულეობობს საკუთარ კონვიოშიაც იჩინა თავო,  
ნიკიტენკო ძლიერ დაინტერესებულა ამ ამბით და  
ნაუმოგისთვის დაწერილენით გამოუკითხავს: ხში-  
რად დაიარებით თუ არა პეტერბოგისა და ცარსკოე  
სკლოშიო. გამოთხოვების დროს კი უთხოვინა,  
ნება მომეცით თქვენსა მოვიდენ ხოლმეო. ნაუმო-  
გი დათანხმებულა და თავისი ადრესი მაუკია.  
ნიკიტენკომ სხვა და სხვა ნაირი ჩვენება მისცა შე-  
სახებ თავის მოლაპარაკებისა ნაუმენკოსთან. პირ-  
ველად მან უამბო ნიკიტენკოს და სთხოვა მას მი-  
ეცა მისთვის საჭირო ცნობები და რაც საჭირო  
იყო, დაეხარჯნა. მერე შტიფტართან ერთად აქე-  
ზებდა, ხელმწიფე მოჰკალი ან ყუმბარით ან ხანჯ-  
ლითაო. ამისთვის საჭირო იყო, რომ ნაუმოგი  
ხელმწიფეს მისწოდმოდა, ამიტომ სურჩის სასახლის  
მგალობელთა გუნდში შესვლა, მისცეს გალობის  
შესწავლისათვის საჭირო ფული, ერთ დროინდელ

დახმარების გარდა თვეში 200 მანთოზე მეტს ამ-  
ლევდნენ, ხოლო 13 მარტს მან მიიღო 150 მან.  
გარდა ჯამაგირისა. სამართალში მან უარი განაც-  
ხადა. ნიკიტენკოს არ წაუქუჩებიაგარო: მაგრამ სთქ-  
ვა, ნიკიტენკოსგან 125 მანეთს ვიღებდი თვეშიო,  
კახავთან ნაცნობობა და ლაპარაკი უარჰყო, მხო-  
ლოდ ხელმწიფის მოკვლის შესახებ არაფერი მით-  
ქვამსო. გალობის მისწავლებლმა სთქვა, რომ ნაუ-  
მოგი აჩქარებდა გალობის შესწავლას, რომლის-  
თვეში უნდა მოვემზადოვო. ნიკიტენკომ სასამართ-  
ლოში აჩვენა შემდეგი: ჯერ კიდევ როცა ფლოტ-  
ში ვმსახურებდი, თანამგრობი ვიყავ ს.რევო-  
ლიუციონერებისა, თუმცა მაგათ არ ვეკუთნოდი.  
სამსახურის თავის დანებების შემდეგ პეტერბურგში  
გადმოვედი დასახორებლად და აქ უფრო მჭიდროდ  
დავუხლოვდი პარტიას, რადგან მსაუროს შემწიროს  
ჩემი ძალ-ღონე პარტიის იმ მოქმედებისთვის,  
მელიც ჩემთვის უფრო შესაძლებელი და შესაფერი  
იქმნებოდა. როცა პარტიის ორგანიზაცია გავიცანი,  
გადავწყვიტე რომ პარტიული მებრძოლი  
გავმხდარიყავი. ასეთი ხელობა ჩემი ნიჭის და  
უნარის შესაფერი იყო. მაგრამ ამ დროს ცენტრ-  
რადგან მომეტრებმა დაადგინა მოვსპო ტერორი,  
რადგან მთავრობამ თავისი სიტყვა შეასრულა მეო-  
რე სათათბიროს მოწვევის შესახებ, და გარდა ამი-  
ს ტერორიც გახშირდა და ხალხის თვალში  
შთაბეჭდილებას აღარ ახდენს. პარტიის ამგვარ  
ტაქტიკას, რომელიც სავალდებულო იყო ყველა  
წვირისათვის, მე არ თანაუგრძობდოო სთქვა,  
ბრალდებულმა, და ამიტომ პარტიის ოფიცია-  
ლურ წევრად არ შევსულვარ, სანამ პარტია ასრ-  
ს არ შეეცვლიდა და ტერორის განახლებას საქი-  
როდ არა სცნობდა, მე პირად ჩემი პასუხისმგებ-  
ლები ქვეშ საჭირო ცნობების შეგროვებას შევუდქე,  
რომ შემდეგში პარტიისათვის გამოვეყენებინა,  
როცა განიზრახავდნენ ვინმე დიდ კაცის მოკვ-  
ლას. კერძოდ ხელმწიფის მოკვლა სახეში არა მქო-  
ნია

სათათბიროში წაიკითხეს ნიკიტენკოს მამის  
წერილი, გაგზავნილი უმკროს შვილისადმი მაშინ,  
როცა ნიკიტენკო ფლოტში მსახურებდა. მამა  
ძლიერ ნაღვლობს, რომ იმისმა ბორისმა აზრი შე-  
იცვალა და რევოლიუციონერობა დაიწყო ამგვარი  
რწმენით ფლოტში სამსახური შეუძლებელია და



უკეთესი იქმნება სამსახურს თავს დაანებდნენ. მამის ფიქრით, ბორისმა აზრი შეიცვალა ოღვა ტარასოვის გავლენით. ბოლოს მამა სწერს: ბორისი იმით გაათავებს, რომ „ღობროვოლნი ფლოტ-ში“ სამსახურში შესვლის მაგივრად ტერრორისტობას დაიწყებს.

ბოლოს, სინიაესკიმ აწვინა შემდეგი: როცა 1905 წლის დამლევს, ადმინისტრაციულ წესით გადასახლების შემდეგ, დაეპუნდი, ს.-რევოლიუციონერების ცენტრალურ კომიტეტის მებრძოლ ორგანიზაციას წინადადება მივეცა საქმეში გამოვეყენებინე, მაგრამ უარი მითხრა. მაშინ დაუახლოვდი იმ ხანებში დაარსებულ უბარტოი სამხედრო-სარევოლიუციო ორგანიზაციას, რომლის წევრიც ვიყავი დაბატონებამდე. თუქცა სხეებულ ჯგუფის ტაქტიკაში ტერრორი არ შედის, მაგრამ სინიაესკი, როგორც თვითონ განაცხადა. მუდამ მომხრე ყოფილა ტერრორისა. მას სწამდა დიდი ტერრორი, ხოლო წვირლ ტერრორზე, როგორც, მაგალითად, მთავრობის მდებალ მოხელე-აგენტების მოკლვას, ან თანაუგრძობდით. ამ საქმის შესახებ სინიაესკიმ სთქვა: მართალია კონვივის კახუკთან, რომელიც ნიკიტენკომ მიწვენა, და სიმიელა პირად დამისახა, მქონდა დამოკიდებულება, გამოკვითხე, თუ რა ნაირად შეიძლება ცარსკოე სელოს სასახლეში შესვლა, როდის მოვიდოდნენ ცარსკოე სელოში სტროლიზინი და დიდი მთავარი, მაგრამ ყველა ეს ცნობა რამე გარკვეული მიზნისათვის როდი მიწინადადა. ეს მხოლოდ სტატისტიკისათვის მესაქირობოდა. რომელსაც ნიკიტენკო აღგენდაო.

დანარჩენი ბრალდებულები თავს იმართლებდნენ და საქმეში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ.

სასამართლოში, სხვათა შორის, გამოიკვია, რომ ნიკიტენკო ფედოსიევის ცოლის ბიძაშვილი ყოფილა, მსახურებდა იმა თან მდივანად, იღებდა თავის წერილებს ფედოსიევის ადრესით, და როგორც ფედოსიევი, ისე ტარასოვმა, ჩიხბროვმა და ბრუსოვმა არაფერი არ იცოდნენ იმ კრებების შესახებ, რომელიც იმართებოდა მათ სახლში, მათი შინ არ ყოფნის დროს. ჩიხბროვმა განაცხადა, ჩემ სახლს ხელოსანთა კავშირს უთმობდი კრებისათვის, რადგან მათი იურისტი-კონსულტი ვიყავით. ბრუსოვმა სთქვა, სათათბიროს არჩენების დროა მემარცხენე ბოლსე დაუთმე ჩემი სხლი არჩენებისთვის მოსლაპარაკებლადო.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაშიც ნობრძიც საწმყმუნებასა და ვეითღ- ზნეობასე.

მეუზიღე მცენება.

არა იბრუშო.

სქესობრივი მოთხოვნა ბუნებით აქვს ორივე სქესსა კაცობრივობისასა, მამრობითისაცა და მდელობითისაცა. ამაზედ არის დამოკიდებული შვილოსნობა და მით კაცთა ნათესაობის გამრავლება. ღმერთი, როგორც მზრუნველი და მკველი ზნეობითი სიწმიდისა, სქესობრივ მოთხოვნის დაკმაყოფილებასა სდებს წესსა და საზღვარსა. ამისთვის ქრისტიანობაში ღვთისაგან დაწესებულია საიდუმლო ქორწინებისა, რომლის საშუალობითაც იკურთხება კავშირი მეუღლეთა; მათი საწოლი და შეილოსნობა შეიქმნიან შეუგინებელნი და უბიწონი. ხოლო სხვა თემთა დაკმაყოფილება სქესობრივი მოთხოვნისა, გუთმვა იგი არის ბუნებითი, ირიცხება ღვთის წინაშე მრუშების ბიწიერებად. მაცხოვარის ზეციერი სწავლითა, არამე თუ კავშირი ქორწინების გარეშე, არამედ მხოლოდ შეხედვაცა მრუშებითი გულის-წოდებითა, ცოდვად ირიცხება. ასეთ სიწმინდეს თხოვრობს ღმერთი აღამიანისგან, თხოვლობს მისივე სასარგებლოდ. მრუშება ფირად ხრწნის აღამიანის სულსაცა და სხეულსაცა. შედეგი ამ ბიწიერებისა არის ყოვლად მვენებელი. ყოველ სქესსა და ასაკსა იგი სტაცებს უმანკოების ფაქისსა და ასევე გარყენილობის დაღსა. მას შეაქვს აღამიანის სხეულში საზარელი სენი, რომელიც ხრწნის მთელ ჩამომავლობასა, უკარგავს მას ჯანის სიმრთელესა და სიცოცხლის სიამოვნებასა, ბოროტისული მრუშებისა მძლავრი. ამიტომ ქრისტიანე მას უნდა ებრძოდეს. ფრიად შესასწავლია მოთხოვნა აღმართი წერილისა იმის შესახებ, როგორ შეარყია და დასცა მრუშების სულმა თვით გმირი კეთილ-მსახურებისა, ებრაელთ მეფე და წინასწარმეტყველი დავითი.



დავით მეფემ გაგზავნა ჯარი ამმონელებთან საომრად, ხოლო თვითონ დარჩა იერუსალიმში. ერთხელ, საღამოთი, იგი სეირნობდა თვის სასახლესთან, დანახა ერთი მეტად ლამაზი დედაკაცი და გამოიკვლია მისი ვინაობა. მეფემ ისურვა მისი დამორჩილება. რადგან მისი ქმარი ომში იყო გაგზავნილი, მეფემ დაიბარა იგი, გამოჰკითხა მას ჯარის მდგომარეობა, ომის საქმე, უკანვე დააბრუნა იგი და ვაჭარნა მას მხედართა-უფროსთან წერილი, რომლითაც მას უბრძანა მეფემ მხედარი ურჩის დაყენება იმისთანა ადგილზე რომ იგი მოეკლათ. ბრძანება შესრულდა: ბირსაბია დაქერივდა, დიეტრია მან თვისი ქმარი. შემდეგ ამისა მეფემ შეიყვანა იგი თვის სასახლეში და იცოლა.

გავიდა კარგი დრო ხანი. ბირსაბიასგან მეფეს ვაჟი-შვილიც ეყოლა. მაგრამ მეფემ არ შელიდა ცოლვის შეგნებაში და სინანულის გრძნობაში. მაშინ ღმერთმა მიუგზავნა მას წინასწარმეტყველი ნათანი. იგი მოვიდა და მოითხოვა მეფისგან სამართალი. ნათანმა უთხრა: „ერთ ქალაქში ორი კაცი იყო, ერთი მდიდარი, მეორე საწყალი, მდიდარს მრავალი საქონელი ჰყავდა, საწყალს ჰყავდა მხოლოდ ერთი ცხვარი, შვილივით ვაზრდილი. მდიდარს სტუმრად ეწვიოა ვინმე მოგზაური. მდიდარმა დაინახა თვისი საქონელი, დააქურბა საწყალი კაცის ცხვარი და დააკვლინა სტუმრის დასახვედრად.“ — მეფე განრისხდა და უთხრა ნათანს: „გეფიცებით უფალსა, რომ კაცი, რომელმანც ჰქმნა ესე, ღირსია სიკვდილისა, ხოლო ცხვრის მაგიერ მან უნდა მისცეს ოთხი ჯგირი.“ მაშინ ნათანმა უთხრა დაეთათს: „ის კაცი შენა ხარ. აი რას ამბობს უფალი ღმერთი.“ რად შეურაცხჳყ შენ მცნება უფლისა? შენ აღზდევდი ურიაზე, მოსტკე მას ცოლი და თვით იგი მოჰკალი ამმონელების მახვილითა. ამისთვის მახვილი არ მოშორდება სახლსა შენსა, შუისმგებელი მრუშების ცოდვისთვის აღსდგება თვით სახლსა შინა შენსა.“ მოისმინა მას სასჯელი ღვთისა, დავითმა სთქვა: „შეესკოდე მე უფლის წინაშე.“ ნათანმა უთხრა: „უფალმანც აგხსნა შენ ცოდვა, შენ არ მოკვდები, ხოლო ნაშობი ბირსაბიასგან შენი შვილი უნდა მოკვდეს.“ — მე შემდეგ დღეს ყრმა გარდაიცვალა.

დიდი იყო ცოდვა დავით მეფისა, მაგრამ ღრმად შეინანა მან იგი. მან ყველას უჩვენა მგა-

ლითი ცოდვითა შენანებისა შემდეგი სინანულის ლოცვითა:


„მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცენ უსჯულოება ჩემი, უფროს განმზან მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვითა ჩემთაგან განწმიდე მე, რამეთუ უსჯულოება ჩემი მე უწყია, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგკოდე და ბოროტი შენ წინაშე ვჰყავ, რათა განვმართდე სიტყვითაგან შენთა, და მძლო სჯასა შენსა, რამეთუ ესერა უსჯულოებათა შენა მიუდგა, და ცოდვითა შენა მშვა მე დედამან ჩემმან, რამეთუ ესერა ქეშმარიტება შეიყვარე, უჩინონი და დფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწყმინდე მე. განმზანო მე, და უფროს თოვლისა განვსჰეტკენ; მასმინო მე გალობა და სიხარული, და იხარებდენ ძვალნი დამდაბლებულნი, გარე მიაქციე პირი შენი ცოდვითა ჩემთაგან და ვოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმზახლე გემსა ჩემსა. ნუ განმავდებ მე პირისა შენისაგან, და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან, მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა და სულითა მთავრობისა დამამტკიცე მე. ვასწყალე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მისენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო, ცხოვრებისა ჩემისაო, იხარებდეს ენა ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბავენი ჩემნი აღაჩვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ქემულეებასა შენსა, რამეთუ უეთუმეცა ვენება მსხვერპლი შემცამეწირა, არამედ საკვრთხი არა გინდეს. მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჳყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღეშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი, მაშინ ვთნდეს მსხვერპლი სიმართლისა შესაწირავი და ყოვლად დასწველი, მაშინ შესწირენ საკუთხებველსა შენსა ზედა ზეარაქნი.“

ასეთი სარწმუნოება, ასეთი უმაღლესი გრძნობა, ასეთი შეგნება ცოდვისა, ასეთი ღმოზიარება და სინანული მოითხოვება ყოველი ცოდვილისგან. ამიტომ წმიდაეკლესია ხმარობს დავით მეფის სინანულის ლოცვასა, როგორც სამაგალითოსა, და



ასწავლის თვის შვილთა, ქრისტიანეთა, ამ ლოცვისა. ეს ლოცვა მეტად პოხილია ღვთის მადლითა. ამიტომ ყოველი ქრისტიანი, ლოცვის ქვემდებარე, მეტად ანუ ნაკლებ, იპოვის ამა ლოცვაში შენანების გრძობასა და ნუგეშსა. თუ აღმაინი თავის თავს ყურს უგდებს, ყოველი ცოდვის შემდეგ, მიონსმენს სვინიდისის შეკითხვას: „რად შეუარაქპავ შენ მცნება უფლისაჲ? ცოდვლიც მივაღალა, რომ შეაძულოს ცოდვა და აღიაროს: „შევეცოდ მე უფლისა წინაშე“, — შეინანოს, მსგავსად დავითისა, და შემუსრული გულითა ილოცოს: „მიწყალე მე ღმერთო...“

o ბაღუევი.



### ჩვენი ხალხის ძრისტიანობრივი სარწმუნოება წინეთ და აღსს...

თექვსმეტი საუკუნე მეტი გადის, რაც ჩვენს ქართველს ხალხში არსებობს ერთი რწმენა, რომელიც გამოიხატება ქრისტიანობრივ სწავლასა და სარწმუნოებაში. ეს რწმენა ისე შეთვისებულია და გამსჭაღვლილი ჰქონდა ჩვენ წინაპრებს, რომ ამაზე ამყარებდნენ მთელ თავის თავგადასავალით. დასამტკიცებლად ამა ჩემი სიტყვების მომყავს ერთი ქვემო აღნიშნული მაგალითი: როდესაც კაცს უნდოდა შესერულდინა რამე მიზანი, ანუ საქმე, ის, პირველად საქმის დაწყებისა, ახსევებდა ღვთის სახელს, გადიწერდა პირველად, რაშიდღაც იხატებოდა მისი რწმენა სარწმუნოებისა და ქრისტეს სწავლისადმი. დღევანდელ ხალხის ცხოვრებაში კი სულ სხვისი გეგავით. უმეტესი ნაწილი ხალხისა, ნამეტურ მოზარდი ცმაწვილები (молодое поколение) ცუდად ასრულებენ ამ რწმენის დანიშნულებას. ცოტად თუ ბევრად ქრისტიანობრივი სარწმუნოება შენახულია ხანში შესულ აღმაინებში. ძველად ჩვენ წინაპრებს ეპირათ ზოროასტრის სარწმუნოება, რომელიც შეიცავდა ბუნების განღვივრებას. ამ სჯულის ისინი მტკიცედ და გულმოდგინედ ასრულებდნენ, რომელსაც გვისახულებს შემდეგი სიტყვები. თავდაპირველად ამ სჯულის მორწმუნენი სარწმუნოების წესებს ასრულებდნენ მოების კალთებზედ, წყლის ნაპირებზედ, დიდ ხეებს ქვეშ და სხვა. შემდეგ ქართველებმა იწყეს ტაძრების (ანუ იმათებურად რომ ესთქვათ ბომონების) და კერაების (ბუთების)

აღმართვა, რომლებიც მორთული ქონდათ ოქროთი და მარგალიტებით. აგრეთვე იმათ დაწესებული ქონდათ სხვა და სხვა კერაების დღეობა. ამ დღეობაზე მრავალი ხალხი შეიკრიბებოდა ხოლმე კერპის სიხსლოვანს, მიქონდათ ურიცხვი შესაწირავი, რომელსაც შეადგენდა უმეტეს ნაწილად პირუტყვების სხვა. ზოგიერთი სარწმუნოებით გამსჭაღვლილი, იმ ზომამდენ მივიღოდნენ, რომ მსხვერპლად საკუთარ შეიღებს შესწირავდნენ. ეს ფაქტები ცხადად გვიჩვენებს, თუ რა გულმოდგინედ ასრულებდნენ ჩვენი ძველები თავიანთ რწმენის დანიშნულებას. მიუხედავად ამისა ახლანდელ ქართველ ხალხს ცუდი წარმოდგენა აქვს ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე, რასაც ცუდი ვნება მოაქვს დღევანდელ ხალხს ცხოვრებაში. როგორც ზემოთ ვთქვით ახლანდელს ჩვენ ხალხში ქრისტიანობრივი სარწმუნოება შელახულია. ამის დამტკიცება შესაძლებელია სხვადასხვა მაგალითებით. აი ერთი ამისთანა მაგალითი: წელს ერთ მისის კვირას, მე, შემთხვევით დავსწარი ერთ სოფლის ეკლესიაზედ, სადაც მცხოვრების რიცხვი აღემატება იორი ათას სულს. მშვენიერი გაცილდე იყო. მიუხელოდით თუ არა ეკლესიის ვალადღე, ერთ სის პირას დაღინახე რაოდენიმე კაცი, რომელნიც მუსიაფს შეეყოლდნენ და ლოცვის იმათ არაფერი ახსოვდათ; მე ვიფიქრე, იქნებ ეკლესიაში სატეობა აღარ არის და მიტომ გამოსულიან ეს კაცები გარეთ მეთქი. შევედი ეკლესიაში, გადავიფიქრე პირველად, ცოტა ხნის შემდეგ, მივიხედ-მოვიხედე და დაღინახე ექვსი სული მოხუცი კაცი და ქალი. აი ამისთანა მოზარდულა სოფელში 2000 სულზე, ეკლესიაზედ მოლის კვირა დღეს ათი სული და უფრო ცოტაც, სადაც სოფელში 1000 სულზე ნაკლები მცხოვრებია, იქ ამის ნახევარიც თუ მივა. ამისთანა მაგალითი, რაშიდღაც იხატება ხალხის გულგრილობა სარწმუნოებაზე, ხდება არა ერთგან და როგან, არამედ მრავალ ადგილას. ესეც უნდა დაუმატოთ, რომ კაცს შეუძლია ლოცვა და ღვთის ვედრება შესასრულოს არა მარტო ეკლესიაში, როგორც ღვთის სახლში, არამედ ყოველგან, სახლში და გარეთ, როგორც ამას ამტკიცებს წმიდა სახარება: „რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაბზე ქარი შენი და ილოცვიდე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამა შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათ.



თ. 6 მ. 6). მაგრამ ამაგებს ყველაფერს უმეტესი ნაწილი ჩვენი ხალხისა მოკლებულია. რამ გამოიწვია სარწმუნოების ასე უკან დახვევა, როდესაც ის უფრო უნდა განმტკიცებულიყო ხალხში? ეს ადვილი გამოსარკვევია. ამ უკანასკნელ ხანებში გამოჩნდნენ იმისთანა პირები, რომელთაც გავარცხლეს ხალხში მავნე აზრი პატარა წიგნაკების საშუალებით, რაშიდაც ისინი ვითრი და გვიმტკიცებენ ღმერთის არა არსებობას. ამისთანა წიგნაკებმა კული ვაღვანე იქონია მოზარდა შორის, და ვისაც, ყმაწვილთაგანს წაუკითხავს ამისთანა წიგნაკი, თამამად გაიძახის ხალხში „ღმერთი არ არისო“.\* ამისთანა ძახილმა და ყმაწვილების წინ დაუხედაობამ შეურყია თავისი რწმენა ხალხს, ამისათვის ურჩევ მე და სხვაც (ვისაც კი მთლად შერჩენია რწმენა ქრისტიანობრივ სარწმუნოებისადმი) იმ მავნე აზრების მიმდევართ, რომ დაანებონ თავი იმ არა მცოდნე აზრების გავრცელებას ხალხში, და გაიარონ იაზე, რაც აუცილებელი საჭიროა ცხოვრებაში ქრისტიანეთათვის. აუცილებელ საჭიროებას ქრისტიანეთა შორის შეადგენს სწავლა სარწმუნოებაზე, სასოებაზე და სიყვარულზე, როგორც ამას გვასწავლის პავლე მოციქული: „ხოლო აწ ესე-რა გივს სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე“. (1 კორინ. თ. 13, მ. 13) ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი რწმენა ღვთისადმი, ქრისტიანია იგი თუ სხვა. ქრისტიან ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა ღვთისადმი და ქრისტეს სწავლისადმი, ამისათვის დასწერს პავლე მოციქული შემდეგ: („თვინიერ სარწმუნოებისა ვერ შესაძლებელ არს სათნო ყოფა ღვთისა, რამეთუ სარწმუნოება უღირს რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს, და მებეჭებულა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნების“. (ებრ. თ. 11, მ. 6). ვამბობთ ქრისტიან ხალხს უნდა ჰქონდეს სარწმუნოება თთვისა, მაგრამ ეხლა ისიც ვსთქვათ, როგორი სარწმუნოება უნდა ჰქონდეს? სარწმუნოებასთან უნდა იყოს შეერთებული სიყვარული ღვთისა და მოყვსისა, და მასთან კეთილი საქმენიც, როგორც გვასწავლის დღვისგან ბოძებული ათნი მცნებანი; ამისათვის იტყვის პავლე მოციქული ქრისტე იესოს მიერ:

არცა წინადაცვეთილება რას შემძლებელ არს, არცა წინადაუცვეთილება, არამედ სარწმუნოება სიყვარულისაგან შეწვენილი. (გალატ. 5, 6). როგორც სარწმუნოება, აგრეთვე ქრისტიან ხალხში უნდა იყოს დანერგული სასოება ღვთისა, ესე იგი უნდა იყოს დარწმუნებული მის არსებობაზე, უნდა გვქონდეს იმედი ღვთისა იმაზე, რომ ის დაუცხრომელად ზრუნავს ჩვენი ცხოვრებისათვის და აღთქმულ ნეტარებისათვის. საფუძველი ჩვენი სასოებისა არის იესო ქრისტე და ამისათვისაც ყოველ ქრისტიან კაცს უნდა ჰქონდეს სასოება ღვთისა; ამას მოწმობს თვით მოციქულის სიტყვები: „უფალი იესო ქრისტე არის სასოება ჩვენი, ანუ საფუძველი სასოებისა ჩვენისა“. (1 ტიმ. 1, 1). სასოების მოძიებისათვის საჭიროა დაუდგრომელი ლოცვა; სწავლა ნეტარებისა და მათი აღსრულება საქმით; ამას თვით იესო ქრისტეს სიტყვები გვიმტკიცებს: „რადიცა ითხოვს სახელეთა ჩემითა იგი ყყო, რათა იდღოს მამა ძისათანა“. (იოან. 14, 13). სარწმუნოებასთან და სასოებასთან ერთად ქრისტიან ხალხს უნდა ჰქონდეს სიყვარული ღვთისა და მოყვსისა, ე. ი. უნდა დავინერგოთ გულში მცნებანი მისნი და გავიაროთ მასზედ მტკიცედ; ამაზედ იტყვის თვით იესო ქრისტე შემდეგ: „რომელსა აქნდეს მცნებანი ჩემნი და დამიარხნეს იგინი, იგი არს რომელსა უყვარ მე, უკეთეს ვისმე უყვარედ მე, სიტყვანი ჩემნი დამიარხნეს“. (იოან. 14, 21—23). სიყვარული შეიძლება საქმით და სიტყვით, ამისათვის, ვისიც სიყვარული გქონდეს უნდა გიყვარდეს საქმით და არა მარტო ენითა და სიტყვითა; ამაზე დასწერს მოციქული იოანე: „ნუ გიყვარებით სიტყვითა, ხოლო ნურც ენითა. არამედ საქმითა და ქერმარიტებითა“. (1 იოან. 3, 18). ერთი სიტყვით, სწავლა სარწმუნოებაზე და სიყვარულზე შეადგენენ აუცილებელ საჭიროებას ცხოვრებაში ქრისტიანთა შორის, მით უმეტეს, რომ ყოველი ადამიანი ზრუნავს ხორციელ და სულიერ ცხოვრებისათვის, და ამიტომ ვინაც მოიბოვოს სულიერი ცხოვრება, უნდა ჰქონდეს სარწმუნოება, საროება და სიყვარული ღვთისა. ურწმუნოება ხალხს ამდაბლებს, რყვნის და ბოლოს მათ მივლის ქვეყნის პირიდან აღგავება.

\*) სამღვდლოებაც პატარა წიგნაკებითვე უნდა მაცადინობდეს მავნე შინაარსის წიგნაკების წინააღმდეგ, მაგრამ მას სძინავს ჯერეთ და სახარება ბალიზად გაუხდია...

რედ.

მღ. დომენტი რამინაშვილი.



# ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

## დჰანოვი ღავით ღამზაშინსზან ზადგენილი ღა ზამოცემული წიგნები:

თბილი სში, წერა-კითხვის გამარტყვლებელი სზოვალღების წიგნის მღღაზიში, ყვირიღღაში—  
მწყესი. ს რედქციი ში.

### 1. სუეკლესიო ღა ღვთის-მსანსურების წიგნები.

1. ლოცვანი ნანტებანი, ღამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უშთავრები ღღესანწაუღების ისტორიული მოზხრობით. ამ ლოცვან ში არის შთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღღთის-მშობლისა ღა ზიარების ლოცვა. აგრეთე ამ ლოცვნის სრულს თეეო მტყველებეში არიან ჩ.რთულნი საქართუ. წმღანები მათი ისტორიული მითხრობით ღა ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყღით 25 კ. ღა უყღლოთ . . . 20 კ.
2. წესი ნეულის ზიარებისა ღა ერცელი პანაშვიღისა, ფასი . . . 10 კ.
3. სოც ლთა ღა ღარდცელებულთა მოსხსენებელი კონდაკი (კარგის ყღით) ფ. . . 20 —
4. მონღაკი იოანე ოქროპირის წიღვისა უყღლოთ 30 კ. კარგი ყღით . . . 50 კ.
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით ღა თორმეტი საუფლო ღღეგბის ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 კ.
6. საქართვლოს ეკკლესიის წმღანები რუს. 5 „

### 2. სსანწელი ღა სსელმძღვანელი წიგნები.

1. ღარიგება საღმრთო სჯუღის სწაუღებანზე, 30 კ.
2. მწყებითა გაცეჲღები საღმრთო სჯუღის სწაუღებანზე, ფასი . . . 15 —
3. ანღო სასუღიერო კონსისტორიათა წესღებულემა—ფასი . . . 30 კ.
5. მღეღელთათვის საიდუმღოების შესრუღების ღღოს საქიერო სხელმღღვანელო წიგნი—ფასი ყღით . . . 20 კ.

### 3. სსამკურნაღო წიგნები ღა ღარღებე ჰანმრთეღობის ღაღვანზე.

1. ანღო კარზადნი, მკორე ღამოცემა ღა-მატებით, რომელიც განზიღელი, მოწო-

- ნეული ღა ნება-ღართულია კეკესიის საყეშო რჩევისაგან ყღით ფასი . . . 1 მ.
- უყღლოთ . . . 60 კ.
2. ღარიგება მღეღელოზი დაცვასა ღა თეღლის მოვღლანზე, ფასი . . . 10 —
  3. ჯანმრთელოზ ღა ავღმყოფობა ექიმის საუბარი . . . 5 კ.
  4. შესანიშნავი მონასტრები ღა ეკკლესიები ღა ამ მონასტრების აღმშენებელთა ცხოვრების აღწერიღობანი,
    1. მცხეთის ტაძარი ღა წმღდა ნინო, კართ. განმნათლებელი, ფასი. . . 15 კ.
    2. მღაღის მონასტერი ღა ცხოვრების აღწერიღობა მუჟის ღღით აღმშენებ. . . 15 კ.
    - იგივე რუსულ ენანზე . . . 20 „
    3. შიო მღეღის მონასტერი ღა ცხოვრების აღწერა ღღრისსა მავისა ჩმენისა შიოსი . . . 5 კ.
    4. მთავარ-მოწ. ღღავით ღა კონსტანტინე ღა მოწამეთის მონასტერი.—ფასი . . . 5 კ.
    - იგივე რუსულ ენანზე . . . 10 კ.
    5. მარძიის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
    6. მარტეღის მონასტერი . . . 2 კ.
  5. სსაუღლო ღა ღვთის-მშობღის ღღესანწაუღების აღწერა სწავღებე სწავღა ღარღებით.
    1. ღვთის-მშობღის ღაღაღება, სურათით . . . 2 —
    2. ტაძად მიყენება ღვთის-მშობღისა, ფ. . . 2 —
    3. ამაღლებე პატიოსნისა ღა ცხვეღს-მყოფღისა ჯღვარისა, სურათით . . . 2 —
    4. შიო უფღღისა . . . 2 კ.
    5. მიჩამა უშღღისა, სურათით.—ფასი . . . 2 —
    6. ხამაბა ყოვღად წმღდა ღვთის-მშობღისა 2 —
    7. ბზოზბ სურათით—ფასი . . . 2 —
    8. აღღღოზბ სურათით—ფასი . . . 2 —
    9. მიჩანება ყოვღად წმ. ღვთის-მშობღ სა, 2 —
    10. ზელთუქენი ზატის ისტორია . . . 3 კ.
  6. მოწამენი, ღღრსნი მამანი ღა ღღღანი სსაქართვეღოს ეკკლესიისა, შესანიშნავი სსაქართვეღოს მეფენი ღა ღღღოფაღანი:
    1. წმღდა მოწამე რაღენი, სურათით, ფასი . . . 3 კ.
    2. წმ. ნინო ქართვეღთ განმანათლებელი . . . 2 —
    3. მეფე ღღავით მესამე აღმშენებელი . . . 5 —
    4. თ.მ.რ მეფე, სურათით . . . 5 —

- 5. გიორგი მთაწმიდელი . . . . . 10—
- 6. იოანე ზედაზნელი . . . . . 5—
- 7. შუშანიკი . . . . . 2—
- 8. ქუეყან დედოფალი . . . . . 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი . . . . . 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულად . . . . . 8—

### ხატები და მხატვრობანი.

იმეკონების პატარა იფ-ფასიანი ხატები ფიცარს სამართხ გოჯიანი ფსი 5-10 კ. ხატება არ. მაცხოვრის, ივერის ლეს მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და თორმეტთა დღესწავლთა. ენც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცნა, იმათ ჩვენს საქართლო ში ყველგან ფოსტის გასავაზენი არა გარდახატებს მისთან იმეკონება სქელ ქაღალზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელის ეარაყი 6+7 გოჯიანი ფსი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფსი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმ და ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოი 5 კ. ენც ზემო აღნიშნულ წოდებებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მს მანეთზე დაეთმება 30 კ. ენც ორ კანიკიან წოდებებს დაიბარებს არა ნაკლებსი ცალისა, ის ფოსტით გასავაზენს არ იხლის.

- წიგნები და საუბრებანი:**
- 1. წმიდანი მღვდელ-მთავარანი: ბასილი დიმი, ბრიგორი ლეთის-მებაჟელი და იოანე მოძროპირი, სუგათებით — ფსი 5—
  - 2. როგორ უნდა ემარხულობდეთ — ფსი 3—
  - 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფსი 5—
  - 5. სოკოლილი მართლისა, კონსტოპოლიკილა-ტას მმუღლის წყაროლი . . . . . 5—
  - 6 სმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარს შესწავლა იქსო ქრისტესი . . . . . 3—
  - 7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი . . . . . 3—
  - 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . . . 3—
  - 9 ენ არიან ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ უნდა ეცხლოთ მათ . . . . . 3—
  - 10 იფუგებდეთ საუნჯესა ცათაშინა . . . . . 3—
  - 11 საუბარი ლეთის სიტყვაზე . . . . . 3—
  - 12 — შრომაზე . . . . . 3—
  - 13. სამეგარი სიკვდილი . . . . . 5 »

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაიკიდ ხატები ფერგადუფალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფსი თითოი 5 კ. ენც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგაზენით დავთმობ. სამ მან. ესეთი იმეკონებიან ევრცლისა, ფსი 40 კ

### მ. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. შიშვი სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მათხოზა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე იოა ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები . . . . . 5—
- 5. მრავალ წამებული იობი . . . . . 5 კ.

## ს ტ ა მ გ ბ

ყურნალ „მეწყესი“-ს რედაქციისა

### დ. ქვირილაში

- 11. მხატვრობანი სსს. და საერთო მოღვაწეთა.
    - 1. შოთა რუსთაველი . . . . . 25 კ.
    - 2. აკაკი წერეთელი . . . . . 25 კ.
    - 3. თასარ მფვე . . . . . 25 კ.
- მეკონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ღეგულღგს შოგვი რნაირ სსსბამგო სსამმმბს ბანათებს, სსოტებს, ბღანკებს, დგაფრებს და სს. დაკვეთილი საქმეები სრულდება სუფთად და იაფად.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 აფგისტო, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მეწყესი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.